ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №27 (1657) | 17-20 აპრილი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი



# რეპორტაჟი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახურავიდან, ანუ „ახალი მინისტრიც მაფიის ტყვე გახდება...“



პროგნოზი იმის შესახებ, რომ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის გამოთავისუფლებულ სკამს მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი მენთეშაშვილი დაიკავებდა, არ გამართლდა. პრეზიდენტმა ამ ადგილზე მცხეთა-თიანეთის გუბერნატორის — თემურ გიორგაძის კანდიდატურა წამოაყენა. „გოროტი ხმები“ ამბობენ, ზუბიტაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებით შევარდნაძე ცდილობს, სათბობ-ენერგეტიკის სფერო მაფიას გამოჰგლიჯოს კლანჭებიდან და ამ სკამზე თავისი კაცი დასვასო. იმასაც ამბობენ, პარლამენტარები ყოფილი მინისტრის თანამდებობიდან წასვლით ისე აღფრთოვანდნენ, უბრალო „ელექტრიკსაც“ სიამოვნებით მისცემენო ხმას.

იმისთანა ჭორებს რა ვუთხრათ... თქვენც გაგიგიათ, ალბათ. ჰოდა, ფაქტი ფაქტად რჩება. პრეზიდენტის წამოყენებული კანდიდატურა ენერგეტიკოსი სულაც არ გახლავთ. პარლამენტართა უმრავლესობა კი მინისტრობის ახალი კანდიდატისთვის მხარის დაჭერას ნამდვილად აპირებს.

სანამ პარლამენტარები სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის კანდიდატურას დაამტკიცებდნენ, მეხანძრეები სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სხვენში ხანძარს აქრობდნენ. როგორც ჩანს, მომავალ მინისტრს არც ისე კარგი ფეხი აქვს. საქმე იმაშია, რომ ზუბიტაშვილის წასვლას უცნაურად დაემთხვა ხანძრის გაჩენა სამინისტროს შენობაში.

გუშინ, ღამის 10 საათზე შემთხვევის ადგილზე გასულ ჩვენს კორესპონდენტს ასეთი სურათი დახვდა: ხანძარს აქრობდნენ დიდუბის, მთაწმინდის, ვაკის რაიონების სახანძრო მანქანები, მეხანძრეები კითხვებზე არ პასუხობდნენ. შენობა გადარჩა. ხანძრის მიზეზი უცნობია...

— ძირითადი კრიტერიუმები თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნისას თუ პროფესიონალიზმი არ გახდა, არაფერი გვეშველება, არადა, 1972 წლიდან ვერ ველირსეთ ამას...

რესპუბლიკის ნავთობის ბაზარზე დღეს ბრძანებებს მაფია იძლევა, მასთან შეთანხმების გარეშე ვერცერთი სტრუქტურა ნაბიჯსაც ვერ დგამს. ისინი საერთაშორისო ნავთობმაფიასთან არიან კავშირში. ეს საერთაშორისო ნავთობმაფია კი ქართველი ჩინოვნიკების მოსყიდვას იწყებს ფულით. ეს მწარე რეალობაა. აქედან გამომდინარე, მიჭირს თქმა, რომ ახალი მინისტრი თავს გაართმევს საქმეს. ისიც მაფიის ტყვე გახდება, ჩვენ კი მივცემთ ხმას [illegible], მაგრამ გამოსავალს არც ახალ მინისტრებში, არც ახალ პრეზიდენტში ვერ ვხედავთ, არამედ ახალ საპარლამენტო არჩევნებში...

**შალვა ნათელაშვილი**



## „მილიონები მიდის არამზადების ჯიბეში“

მეორე გვერდი

## მოსამართლეთა უმრავლესობას თავისი აჩრდილის ეშინია

მეცხრე გვერდი



## ვის ეთაყვანება გასოციალისტებული კაპიტალისტი — პატრიოტ გამსახურდიას თუ დემოკრატ შევარდნაძეს?!

მესამე გვერდი

## პროკურორი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას პირდება ქვეწილებს

მეორე გვერდი



## სტალინი — ანტისემიტი?

მეცხრე გვერდი

## «საქართველოს ნეოკომუნისტური რეჟიმი არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს»



მეორე გვერდი



## აღუდგებოდა თუ არა წინ შევარდნაძე კრემლის ჯალათებს?!

მეხუთე გვერდი

## კრიმინალური ქრონიკა

მეთერთმეტე გვერდი

## სპორტის სამყარო



მეათე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ნეოკომუნისტური რეჟიმი არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს

საქართველოში ევროსაბჭოს ექსპერტების სტუმრობამ გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგმა უკვე გული დაიმშვიდა, აქაოდა გვეშველებაო. ზოგმაც საერთოდ ვერ „გაკბიჩა", თუ „რა ხილია" ეს ევროსაბჭო. ზოგი ევროპას, გაეროსა და ევროსაბჭოს ერთმანეთისაგან ვერც ასხვავებს. ზოგიც იმედგადაწურულია იმის გამო, რომ




გარკვეული მოთხოვნები, რომელსაც სახელმწიფო უნდა აკმაყოფილებდეს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისას, მათი აზრით იგნორირებულია. პოლიცია კი, „სამართლის სადარაჯოზე" მდგომი, ადამიანის უფლებებს არღვევს (თუმცა ყველას ჯვარი სწერია). ზოგისთვის გამართლება ან სახლ-კარის გაყიდვის, ან ჯანმრთელობის დაკარგვის ტოლფასი ხდება.

აი, ამ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ გიორგი კერვალიშვილს.

**— ბატონო გიორგი, რამდენად რეალურად გესახებათ საქართველოს გაწევრიანება ევროსაბჭოში. მოგეხსენებათ, სახელმწიფო გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ამ ორგანიზაციის წევრი რომ გახდეს, მათ შორის ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული. რამდენად აკმაყოფილებს ჩვენი სახელმწიფო ამ მოთხოვნებს და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქვეყანაში?**

— ჩამოსული არიან ევროსაბჭოს ექსპერტები, რათა ადგილზევე შეისწავლონ, თუ რა დონეზეა ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება-ნეოკომუნისტური რეჟიმი, არ ასრულებს არავითარ საერთაშორისო ვალდებულებებსა და საერთაშორისო სამართლის კონვენციებს. სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისა და დემოკრატიის განვითარებისათვის კი ამ უკანასკნელის შესრულება აუცილებელია. დღევანდელი ხელისუფლება ფეხქვეშ თელავს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, ამით იგნორირებას უკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო არ არის ღირსი გახდეს ისეთის უნივერსალური ორგანიზაციის წევრი, როგორიც ევროსაბჭოა.

რაც შეეხება მიღების პერსპექტივებს, უნდა ითქვას, რომ თუ მიიღეს რუსეთი, რომელიც სასტიკ გენოციდს აწარმოებდა ჩეჩენი ერის წინააღმდეგ, შეიძლება მიიღოს საქართველოც. თუკი მიიღებენ, მაშინ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ლაგამს ამოსდებენ ხელისუფლებას, რათა დაცული იქნეს ადამიანის კონსტიტუციური უფლებები. ამის თქმის საფუძველს რუსეთის მაგალითი მაძლევს.

**— ლანა ღოღობერიძის აზრით, გაწევრიანების შემთხვევაში, ევროსაბჭო დაიფარავს საქართველოს ჩრდილოელი მეზობლისაგან, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, საქართველოს დღევანდელი ხულისუფლება ისედაც ჩრდილოეთის ე.წ. მეზობლის ხელისუფლებაა. არა მჯერა, რომ შევარდნაძის ანტიქართული და ანტიეროვნული მთავრობა მათ მიერ დასმული არ იყოს. ეს არის ხელისუფლება, რომლის სკამსაც საოკუპაციო ჯარი ამაგრებს.

რაც შეეხება დასავლურ სამყაროში საქართველოს ინტეგრაციის საკითხს, ევროპამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ერის ნების საწინააღმდეგო კამპანია.

ლანა ღოღობერიძე კი არის წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომელიც დღეს ბოლშევიკს უწოდებს თავს, ხვალ კი დემოკრატს. ესენი იცვლებიან, როგორც ქამელეონები, თუმცა სახელს იცვლიან, სულით ისეთივე კომუნისტებად რჩებიან. ჩვენი ხელისუფლება ტოტალიტარულია, ეს კი „ჩრდილოელი მეზობლის" მოგონილია.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თუ ჩვენ გავხდებით ევროსაბჭოს წევრი, არ უნდა ვიფიქროთ აფხაზეთის დაბრუნებაზე...**

— ევროსაბჭოზე მე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეუთოს რომ ეძახიან, ცუდ როლს თამაშობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. ეს უკანასკნელი, ფაქტიურად ცდილობს რუსეთ-ოსეთისა და რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო ინსტიტუტებად წარმოჩენას. ის რომ ეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიებია და აქ აბორიგენ მოსახლეობას სწორედ ქართველები წარმოადგენენ, რატომღაც ამას არ იხსენებენ. ყოველი შემთხვევისათვის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქართველი ერის ცხოვრებაზე.

**— ბატონო გიორგი, რა შეფასებას მისცემდით ცხრა აპრილის სამგლოვიარო მიტინგის დარბევას, რომელსაც სახელმწიფო ტელევიზიამ თავისებური „შეფასებაც" მისცა?**

— ჯერ ერთი, რომ საქართველოს ე.წ. ტელევიზიას მე ისევ საბჭოთა ტელევიზიას ვუწოდებ, რომელიც იგივენაირად აზროვნებს, როგორც კომუნისტური იმპერიის არსებობის პერიოდში. ამიტომ ამ საკითხზე ლაპარაკიც არ ღირს.

ფაქტი სახეზეა. მშვიდობიანი სამგლოვიარო მიტინგი სასტიკად იქნა დარბეული პოლიციელების მიერ. მეც იქ ვიყავი და ჩემი თვალით დავინახე, თუ როგორ უსწორდებოდნენ ფიზიკურად ომონელები მომიტინგეებს. არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს. სასტიკი ცემა-ტყეპა იყო გაჩაღებული. არის რამდენიმე მოქალაქე, რომელსაც დღესაც ატყვია ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები. მათი განსაკუთრებული თავხედობა იმაში გამოვლინდა, რომ იგინებოდნენ და ილანძღებოდნენ, მითუმეტეს საქართველოს ეროვნული დროშაც კი გადახიეს და ეს ხდებოდა არა პოლიციელების, არამედ ხელისუფლების ინიციატივით. გამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლება პატივს არ სცემს ადამიანის უფლებებს. ცხრა აპრილის სამგლოვიარო მიტინგის დარბევით, მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აქ ისევ მძვინვარებს იგივე კომუნისტური რეჟიმი, ეხლა დემოკრატიებად იწოდებიან.

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*

## პროკურორი ინწკირველი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას პირდება ძებნილებს

როგორც ჩვენთან საუბრისას ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის პროკურორმა ზაზა ინწკირველმა განაცხადა, დღესდღეობით აღნიშნულ პროკურატურაში აღრიცხულია სამხედრო სავალდებულო სამსახურზე თავის არიდების სამი ფაქტი. ე. ი. პირები, რომლებმაც გაიარეს სამედიცინო შემოწმება, ცნობილნი იქნენ ვარგისად და გაწვევის ფურცლის მიღების შემდეგ იმალებიან. ეს პირები დღესდღეობით ძებნაში არიან.

ამასთანავე, ბატონმა ზაზამ განაცხადა, რომ თუ აღნიშნული პირები ნებაყოფლობით გამოცხადდებიან საშემოდგომო გაწვევის დაწყებამდე და გამოთქვამენ სურვილს სამხედრო სამსახურის მოხდისათვის, შეწყდება მათ მიმართ საქმის წარმოება.

ჩვენს შეკითხვაზე, რომ თუ ეს პირები ნებაყოფლობით გამოცხადებიან პროკურატურაში, რადგან დანაშაული უკვე ჩადენილია, ეს იქნება ქმედითი მონანიება და არა დანაშაულზე ხელის აღება, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას არ ითვალისწინებს, გამომდინარე აქედან როგორ მოხდება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, ბატონმა ზაზამ გვიპასუხა: პასუხისმგებლობას, მართალია, ითვალისწინებს, მაგრამ თუ გამოცხადდებიან და დანაშაულს მოინანიებენ, გარკვეულ გარემოებათა გამო პასუხისგებაში არ მივცემთ.

ასე რომ, პირები, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს, ნებაყოფლობით უნდა გამოცხადნენ პროკურატურაში, რათა ამით აიცილონ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებისათვის მსჯავრდებულის მძიმე „იარლიყი".

**კოBა კაპანაძე**

## რა ბედი ეწევა ჭოროხის კალმახს და რა ბედი გვეწევა ჩვენ?!.

ბოლო ხანებში დიდი აჟიოტაჟისა და შეშფოთების კერა გახდა თურქეთის მიერ მდ. ჭოროხის აუზში განზრახული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების საკითხი. აღშფოთების მიზეზი კი მეტად სერიოზულია საქართველოს მხარისათვის, რადგან მდ. ჭოროხი წარმოადგენს აჭარის სანაპირო ზოლისა და კახაბრის დაბლობის ძირითად მკვებავ წყაროს და მის მიერ ჩამოტანილი მყარი ნატანი ასრულებს გადამწყვეტ როლს სანაპირო ზოლის შენარჩუნებაში და იცავს მას ზღვის ტალღების ზემოქმედებისაგან. თურქეთის რესპუბლიკის მიერ პროექტის განხორციელება კი გამოიწვევს მდ. ჭოროხის მყარი ნატანის შეწყვეტას და სანაპიროს ეროზის პროცესის დაწყებას.

17 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ქ-ნმა ნინო ჩხობაძემ აღნიშნული ვიზიტი მნიშვნელოვნად შეაფასა, რადგან საქართველოს მხრიდან ეს იყო პირველი სამთავრობო დონის შეხვედრა, როდესაც ქართულმა მხარემ შეძლო დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ჭოროხის კაშხალთან დაკავშირებით. თუმცა ამ ვიზიტამდე იყო გამართული ხუთი შეხვედრა ექსპერტების დონეზე, იყო საუბრები სულეიმან დემირელის თბილისში სტუმრობის დროს, რომელთა შესაბამისი დოკუმენტებიც არსებობს.

კითხვაზე, არსებობს თუ არა იურიდიული საფუძველი საქართველომ გამოხატოს და დაიცვას თავისი პოზიცია, საქართველოს მცირე ენერგეტიკის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ ღოღობერიძემ უპასუხა, ფაქტიურად არავითარი მყარად ჩამოყალიბებული ბაზა არ არსებობს. არის დოკუმენტები, რომლებიც დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და უბრალოდ, მხოლოდ მხარეების კეთილგანწყობას და სურვილებს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ითვალისწინებს.

არსებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს თურქეთის მხარე საქართველოს სთავაზობს 5 მლნ დოლარს კომპენსაციის მიზნით, ან ამ ღირებულების ელექტროენერგიის მოწოდებას, კატეგორიულად უარყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ და აღნიშნა, რომ არავითარი საუბარი კომპენსაციაზე თურქეთის მხარესთან არ ყოფილა, თანაც 5 მლნ არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს იმასთან შედარებით, თუ დადასტურდა, რომ დერინერის კაშხლის მშენებლობას ზარალი მოაქვს ქართული მხარისათვის.

**ხათუნა ხატიაშვილი**

## ანზორ ბურჯანაძე:
# „მილიონები მიდის არამზადების ჯიბეში"

მას მერე, რაც „დემოკრატია" შემოვიღეთ, თვალები დავხუჭეთ და ბრმად მივიღეთ ყველაფერი „საუცხოო" და „უცხოური", რაც შესანიშნავ ავტოებში ჩავჯექით და მობილური ტელეფონით გავესაუბრეთ მსოფლიოს, არც ისე დიდი დრო გავიდა. ეს დრო კი, სამწუხაროდ, ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. რაც უფრო მეტად გვაშორებს იგი წარსულს, მით მეტად ვშორდებით საკუთარ თავს. დავიუინეთ „ენა, მამული, სარწმუნოება" უნდა გადავარჩინოთო. რის მაქნისი იქნება იგი, თუკი ჩვენ თავად გავნადგურდით ფიზიკურად.

იმის შეხსენება ალბათ სულაც არ არის საჭირო, რომ ქვეყნის დასაპყრობად არა მხოლოდ იარაღი და სროლა გამოიყენება, არამედ ეკონომიკა! დიახ, იგი იყო, არის და იქნება უთვალავი შეიარაღებული თუ არაშეიარაღებული კონფლიქტების საბაბი და თუ უწინ იარაღის ძალით ხდებოდა ბაზრების დაპყრობა, დღეს ეს მშვიდად, ინვესტიციების, გრანტების, დახმარებების და სხვა „ეშმაკობების" საშუალებით ხდება, ვერავინ შეგვედავება იმაში, რომ პური სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტია და თუკი ქვეყანა ამ პროდუქტს თავად არ აწარმოებს, ერთ მშვენიერ დღეს, ვინმეს თავში რომ მოუვიდეს და ემბარგო ან ომი გამოგვიცხადოს, სულ მარტივად რომ ვთქვათ, ამოვწყდებით შიმშილით. თუმცა ეს რა მოსატანია იმ ინტერესთან, რა ინტერესიც ამოძრავებთ პურის უკანონო „ბიზნესითა" და ამ „ბიზნესის" ხელდასმით დაკავებულ ადამიანებს. რა ინტერესზეა საუბარი, თქვენ, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ. „სულ ფული, ფული, სხვა ყველა ტყუილია" — სწორედ ამ დევიზით მოძრაობს დღეს მავანთა გრძნობა და ამ დევიზსა და გრძნობას ეწირება ქვეყანა და ის ყბადაღებული „ენა, მამული, სარწმუნოებაც."

**სამი შედეგი, რომელიც ღუპავს საქართველოს**

მივყვეთ მოვლენების განვითარებას და მოვუსმინოთ რას ამბობს „მარცვლეულის მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა კავშირის" პრეზიდენტი, ბატონი ანზორ ბურჯანაძე.

„პროტექციონალურმა პოლიტიკამ, რომელიც გატარდა გარედან შემოტანილ ნედლეულზე და საქონელზე, შეზღუდა ადგილობრივი წარმოება. დღემდე საქართველოში 16 წისქვილის ბაზარი იყო. მისი სიმძლავრე 990 ათას ტონას შეადგენდა. საქართველო მოიხმარს 500-600 ტონა ფქვილს. ე. ი. საქართველოს შეუძლია ფქვილი მიაწოდოს სომხეთს და აზერბაიჯანს, ამით გაიზარდოს შემოსავალი ბიუჯეტში. იმის გამო, რომ გასული წლიდან განსაკუთრებით მოიმატა საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოსული, დაუბეგრავი ფქვილის რაოდენობამ, კონკურენციას ვერ გაუძლო. კანონიერი გზით შემოსულმა პროდუქციამ, წისქვილის ქარხნები გაკოტრდა და დაიკეტა. ამან თავის მხრივ ამ სფეროში დაკავებული ადამიანთა უმუშევრობა გამოიწვია. ეს გახლავთ პირველი შედეგი.

წისქვილკომბინატებთან იყო კომბინირებული საკვების წარმოება. მოხდა მათი ლიკვიდაცია, რამაც მეცხოველეობას უდიდესი დარტყმა მიაყენა. ეს მეორე შედეგი. დიდი ზარალი ნახა ფერმერულმა მეურნეობებმა. თუკი წისქვილკომბინატი არ იმუშავებს, არ შეიძენს მარცვლეულს, გლეხი აღარ მოიყვანს ხორბალს, ეს მესამე შედეგი."

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დღეს საქართველოში უკანონო გზით შემოდის ფქვილი, რაც კონკურენციას უწევს კანონიერად შემოსულ პროდუქტს, რის გამოც ზარალდება ბიუჯეტი, მეცხოველეობა,




სოფლის მეურნეობა, მუშა-მოსამსახურეები. ეს კონკურენცია არ არის, ეს ქვეყნის დამონების პოლიტიკაა და დამონება სწორედ ეკონომიკიდან იწყება. ისლა დავგრჩენია, ავწიოთ ხელები და ჩვენი ნებით გამოვაცხადოთ თავი რომელიმე სახელმწიფოს კოლონიად! თუკი ვინმე შემოგვედავება იმაში, რომ ეს მხოლოდ ზოგადი საუბარია და ფაქტებია საჭირო. ფაქტები კი მრავლად აქვს ბატონ ანზორს.

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# ვის უფრო ეთაყვანება გასოციალისტებული კაპიტალისტი — პატრიოტ გამსახურდიას თუ დემოკრატ შევარდნაძეს?..





პარლამენტის კულუარებში, შეიძლება ითქვას, უკვე საკმაოდ ხმამაღლა საუბრობენ სახელისუფლებო კრიზისზე და ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზეც. საინტერესოა ის გარემოება, რომ არათუ საპარლამენტო ოპოზიცია, არამედ სულ ახლო წარსულში შევარდნაძის თავგადაკლული მომხრეები აქტიურობენ განსაკუთრებით და პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით საჯაროდაც გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.

ჩვენთვის გასაგებია, რომ მათს ამ ხმაურიან განცხადებებს თავისი სარჩულ-საფანელი აქვს და უპირველესად, რა თქმა უნდა, ეს წინასაარჩევნო ქულების მოპოვებისთვისაა გათვლილი. ყველა ჯარისკაცი, მოგეხსენებათ, გენერლობაზე ოცნებობს და იმ ქარავანში, რომელიც საპარლამენტო (შემდგომში ალბათ სახელისუფლებოც) სკამების მოპოვებისთვისაა, ასე ვთქვათ, გაჭიმული, ბევრმა, კუსი არ იყოს ერთი ანდაზიდან, თავი გამოყო და მეც ნახირ-ნახირო, დაიწყო ძახილი.

ყველა ის პოლიტიკოსი თუ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანი, რომელიც აქამდე ქვეყნის პირველ პირს თვალში შესციცინებდა, დღეს თითქოს სულ სხვა ჭკუაზეა (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს) და აქამდე საკუთარ ნამოქმედარსა თუ ნალაპარაკევს ჩირადაც არ აგდებს და შორიდან თუ შევხედავთ, „ახლებურად“ აზროვნებს. „ახლებური“ ხედვა ჩვენთვის უცხო ხილი არ არის და იგი, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, გორბაჩოვ-შევარდნაძის პერესტროიკის ნაყოფია, მაგრამ უბედურება ის არის, ეს ყბადაღებული ახალი თუ ახლებური აზროვნება ხშირ შემთხვევაში ძალზე შორს დგას რეალური საქმიდან და მას უფრო მეტად ილუზიების, მოჩვენებითობის დატვირთვა აქვს. ის პოლიტიკოსებიც თუ მოპოლიტიკოსო პიროვნებები, ვისზეც ზემოთ გვაქვს საუბარი, ჩვენი ღრმა რწმენით, „ტკბილად მოუბარი ენით“ ერთს გვეუბნებიან და ამირანისა არ იყოს, გულში ალბათ სულ სხვა რამეს მღერიან“.

სოციალისტების ლიდერი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ერთდროულად, როგორც ამბობენ, ზვიადისაც ეთაყვანება და შევარდნაძესაც. ვინც მის კაბინეტშია ნამყოფი, მას დაგვიდასტურებს და დასძენს, ამ ორის გარდა, ნოე ჟორდანიას სურათიც უკიდია კაბინეტშიო. ადამიანების, პოლიტიკური ფიგურების პატივისცემას კაცს ვერ დაუშლი, მაგრამ საინტერესოა, ვის უფრო სცემს პატივს გასოციალისტებული კაპიტალისტი ვახტანგ რჩეულიშვილი ამ ორი პოლიტიკური ფიგურიდან (ნოე ჟორდანია ისტორიული პიროვნებაა და ეს კითხვა მას არ ეხება): პატრიოტ ზვიად გამსახურდიას თუ დემოკრატ შევარდნაძეს?

გულუბრყვილონი ვიქნებოდით გვეფიქრა, რჩეულიშვილი მხოლოდ საკუთარი, შინაგანი სულიერი მოთხოვნების საფუძველზე ირჯებოდეს ასე. მისი და სხვა მრავალი, ამგვარი აზროვნების მქონე პოლიტიკოსთა თუ მოპოლიტიკოსო ადამიანთა გათვლები სწორედაც რომ წინასაარჩევნო კამპანიისთვისაა გამიზნული და რჩეულიშვილიც, საჭიროებისამებრ ხან შევარდნაძეს ეთაყვანება და ხანაც ექსპრეზიდენტს, რა თქმა უნდა, საკუთარი ამომრჩევლების სიაში ამ უკანასკნელის მომხრეთა მოხვედრის მიზნით.

ნათქვამია, პოლიტიკა ბინძური თამაშიაო და ეს სიტყვები სწორედაც რომ ზედგამოჭრილად მიუდგება იმ ვითარებას, რაც დღეს სუფევს ჩვენში, ანუ იმ სიტუაციას, როცა ძნელი გასარკვევია, ვინ ვის კარში თამაშობს და ვის რომელ კარში გააქვს გოლი, გოლის გატანისა რა მოგახსენოთ და მეტიც, პენალტების სიზუსტით ქვეყნის საკეთილდღეოდ ეს მთავრობა ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მავანნი და მავანნი სათავისოდ მართლაც რომ დიდებულად ახერხებენ გოლის გატანასაც და აქედან მსხვილ-მსხვილი დივიდენდების მიღებასაც.

ის, რაც დღეს ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე ხდება, უფრო ძალთა მოთელვას გავს, მთავარი ბრძოლა საპარლამენტო თუ სახელისუფლებო სკამებისთვის ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ უკვე აშკარად იკვეთება იმისი ტენდენცია, რომ ათასი დაპირებების შეუსრულებლობით სახელგატეხილ მოკავშირს ყველა მხრიდან წაუჯიკავონ და მოვლენათა შესაძლო განვითარებას თუ მოვიაზრებთ, მოკავშირის გადამჯიკავებელთა მსურველებს, ალბათ, არც პრეზიდენტი შეუშლის ხელს. ეს უკანასკნელი, კარგად ვიცით, პოლიტიკური ხლართებისა და ძალთა გადაადგილებების ჩინებული ოსტატია და მოსალოდნელია, ქვეყნის თავს დატეხილი ყველა უბედურება თუ ცოდვა, საბოლოო ჯამში იმ პარტიას დაატყდეს თავს, რომელიც დღეს მმართველი პარტიის სტატუსითაა ცნობილი.

რომელ პოლიტიკურ ძალასთან შეკრავს ახლო მომავალში შევარდნაძე ალიანსს, ჯერ მთლად ნათელი არ არის, თუმცა ბუნდოვანი მინიშნებები უკვე არსებობს, მაგრამ უეჭველია, იგი შეეცდება იმ ძალას (ან ძალებს) დაეყრდნოს, რომელიც (ან რომლებიც) მისთვის საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ორთქლმავლის ფუნქციას შეასრულებენ. არაა გამორიცხული, ამ ძალებში ზვიადისტების რომელიმე ფრთაც აღმოჩნდეს და შემორიგება-შერიგების ის კამპანიაც, რომელიც ტერაქტების შემდეგ დაიწყო და ბოლოხანს, ცოტა არ იყოს, ერთგვარად გაუგებარი ხასიათი მიიღო, ალბათ, ამისთვის იყო გათვლილი.

საპარლამენტო და სახელისუფლებო სკამებისთვის გაჩაღებულ ამ ჭიდილ-ჯიკავში, ისე ჩანს, ქვეყნის პრობლემები უკანა პლანზე იწევს და იკვეთება სავალალო ტენდენცია, რომ დღემდე არსებული ქვეყნის იურისდიქციიდან ფაქტიურად გასულ რეგიონებს მომავალში კიდევ ერთიც მიემატოს და თუ ამასწინათ ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუს გავიხსენებთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ერთ-ერთი რაიონის გამგებელთან თუ მის მოადგილესთან, ჩვენი ეჭვებიც საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

უმთავრესი პრობლემა დღეისათვის ქვეყანაში, ალბათ კორუფციის ალაგმვა და კანონის დიქტატურის დამყარებაა. დასანანია, რომ ამისათვის მხოლოდღა ცარიელი სიტყვების რახა-რუხია გაჩაღებული და საქმეს იოტისოდენა ძვრაც არ ეტყობა. მეტიც, ბოლო ხანს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის სავარძლისთვის მიმდინარე გახურებული მუშტიკრივიც, სავარაუდოდ, სარფიანი ადგილის გარკვეული ჯგუფების მიერ ხელში მოგდების მიზნით უნდა იყოს გათვლილი და უკანასკნელ ხანს თუ ამას ხორბლის შემოტანისა და პურის ხარისხის ირგვლივ ატეხილ მითქმა-მოთქმასაც დავუმატებთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ მაფიოზური კლანები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ამა თუ იმ სფეროში მონოპოლიის ხელში ჩასაგდებად.

სათქმელი ბევრია და ერთ წერილში ნამდვილად ვერ დატევ. არადა, მეც და თქვენც, ჩემო მკითხველო, ქვეყანაზეც ერთნაირად გვტკივა გული და იმ ადამიანებზეც, რომლებიც ჩვენსავით, უბრალო მოკვდავებივით, გაფაციცებული მივშტერებივართ ტელევიზორს, იქნება სასიკეთო რამ ხდება და ცოტა ხანში გვეშველის მაინცო. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტკბილ-ტკბილ დაპირებებს ვისმენთ და ეს როდემდე გაგრძელდება, ღმერთმა იცის.

**სერგო ჯანაშია**

# ანზორ ბურჯანაძე: „მილიონები მიდის არამზადების ჯიბეში“

მე-2 გვერდიდან

### ვის ყოფნის 110 გრამი პური?

„როცა ნორმირებულ პურს ვაძლევდით მოსახლეობას დღეში 300 გრამს, 600-700-800 ათასი ტონა ხორბალი შემოდიოდა და იხარჯებოდა. არ ყოფნიდა მოსახლეობას ის 300 გრამი. ახლა აღრიცხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ რაც ქაღალდზეა აღრიცხული, გამოდის, რომ მოსახლეობამ მხოლოდ 110 გრამი მოიხმარა დღეში. ავიღოთ თბილისის მაგალითი, როცა გვევალებოდა თბილისის მოსახლეობის პურით მომარაგების უზრუნველყოფა, დღიურად უნდა გამომცხვარიყო 500 ტ. პური. ეს იმისათვის, რომ 300 გ. გაგვეცა ერთ სულ მოსახლეზე. როგორც კი 450 ტონაზე ჩამოვიდოდა წარმოება იმ წუთში განგაში იყო ატეხილი. დღეს ქალაქის მერიის და საგადასახადო ინსპექციის აღრიცხვით თბილისში ყოველდღიურად ცხვება 220 ტონა ფქვილი.“



როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! თუკი იმ გასაჭირის დროს, როდესაც 300 გრ. პური უნდა დარიგებულიყო თბილისში, დღე-ღამის განმავლობაში ცხვებოდა 500 ტონა პური და არ ყოფნიდა ხალხს. დღეს, როცა სავსეა პურით მაღაზიები და ქუჩები, როგორ ყოფნის თბილისს 220 ტონა ფქვილი? ვის ვატყუებთ საკუთარ თავს? არა, ჩვენ თავს არ ვიტყუებთ. ჩვენ გვატყუებენ. სახელმწიფოს ატყუებენ. ვინ? რატომ?. რისთვის? გიპასუხებთ. გაუნკებული სახელმწიფო ჩინოვნიკები! მილიარდების ჩაჯიბვისათვის და ფუფუნებაში ცხოვრებისათვის! ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილის ზღვარზეა, ეს მაშინ, როცა ბიუჯეტიდან დაგვიანებით გაიცემა პენსიები, დახმარებები, ხელფასები.

პარლამენტართა უმრავლესობა ვერ მიხვდა, რა კანონს უყრიდა კენჭს.

მაშინ, როცა პარლამენტი ახალ საგადასახადო კანონს იღებდა, მთავრობას ან ეძინა, ან თავს იმძინარებდა.

„იანვრიდან დამატებითი ღირებულების გადასახადი დაწესდა წისქვილის ქარხნებში. მანამდე ხორბალი დამატებითი ღირებულებისაგან განთავისუფლებული იყო. პარლამენტართა უმრავლესობა ვერ მიხვდა, რა კანონს უყარა კენჭი. კანონში წერია, ხორბალი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით ე. ი. არ იბეგრება. მეორეგან წერია: მარცვლეული თავისუფლდება დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან. მესამე ადგილას წერია, რომ ფქვილი იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადის 20%-ით და ამაში შედის ხორბლის ღირებულება. ხედავთ, როგორ გაკეთდა. ფაქტიურად ხორბალი დაიბეგრა.“

ხედავთ, რა ეშმაკი ფინანსისტები გვყავს, თვალიდან ბეწვს ამოგაცლიან ისე, რომ ვერ გაიგებ. არათუ უბრალო გლეხი, პარლამენტარებიც კი გააცურეს.

მოდით, ისევ იმ საკითხს დავუბრუნდეთ, რითიც დავიწყეთ. საინტერესოა, მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი ის, რომ „ფოთოლლის ფქვილი“ საზიანოა ჯანმრთელობისათვის? თუ ვინმე ხელს აფარებდა და ფარავდა ამ ფაქტს?

ამაზე ბატონმა ანზორმა ასე გვიპასუხა: რეაგირება — 0.

„ხელს აფარებდნენ, აფარებენ და მომავალშიც შეეცდებიან დააფარონ! მე, რა თქმა უნდა, ლაბორატორიული დასკვნები არ მქონდა, მაგრამ მე და ჩემმა კოლეგებმა ვიცოდით, რომ ეს იყო დაბალი ხარისხის ფქვილი. ჯერ კიდევ 1996 წელს მივმართე თურქეთში ჩვენს საელჩოს კითხვით, რა რეპუტაციით სარგებლობდა „ფოთოლლის ფქვილი“. მივიღე პასუხი, რომ აღნიშნული ქარხანა არ სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, ფქვილი საეჭვოა, სასურველია მეტი კონტროლი დამყარდეს... და ა. შ. ეს დოკუმენტი გავაცანი ყველას, ვისაც ამ საკითხთან შეხება ჰქონდა. რეაგირება ნული. მარტო ქუთაისის გუბერნატორმა ატეხა აურზაური და ბრძოლა, მაგრამ მან ვერაფერი გააწყო.“

მიუხედავად ბატონი ანზორის მცდელობისა, როგორც თავად დარწმუნდით, არავინ დაინტერესებულა რატომ შეიტანა ეჭვი თურქეთში საქართველოს საელჩომ „ფოთოლლის ფქვილის“ ხარისხში, არავინ დაინტერესებულა, რა იყო ამ ეჭვის საფუძველი. დასასრულს ერთი მინდა ვთქვა მხოლოდ: იმ უზარმაზარი ძალის წინაშე, რასაც პურის მაფია ჰქვია, ერთი კაცი ვერას გახდება, თუკი საზოგადოებამ არ შეიგნო ის, რომ დღევანდელი პოლიტიკა, რაც ამ სფეროში ტარდება, დამღუპველია ქვეყნისათვის.

**ანა ჯულელი**

## პრესკონფერენცია

### „ლეიბორისტების“ ლიდერი საგანმანათლებლო ფაშიზმმა შეაწუხა

დიქტატურის არაერთი ფორმა ნახა კაცობრიობამ: ფაშისტური, კომუნისტური, დემოკრატიის სახით შენიღბული — პულტის დიქტატურა კი არ ახსოვს მას. საქართველო ყოველთვის ორიგინალობას იჩენდა ყველგან და ყველაფერში. ლეიბორისტური პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილიც ამტკიცებს, რომ დიქტატურის ამ უკანასკნელმა სახემ სწორედ საქართველოში იჩინა თავი.

— ჩვენს სახელმწიფოში პარლამენტში დღეს პულტის დიქტატურაა და მის ნებას ემორჩილებიან ცოცხალი ორგანიზმები დეპუტატების სახით. ეს აპარატები 50-იან წლებში რუსეთშია დამზადებული, და რადგან უმრავლესობას პრეტენზია აქვს, რომ პროამერიკულია ან პროევროპული, კეთილი ინებონ და აპარატებიც ევროპული შეიძინონ, რათა მოქალაქეთა კავშირს მეორის ჩაშვების საშუალება არ ჰქონდეს ფარული კენჭისყრის დროს, რომ არ გახდეს ცნობილი ვინ აუარა პარტიის, ფრაქციის გადაწყვეტილებას გვერდი და უღალატა... — აცხადებს შალვა ნათელაშვილი გუშინდელ პრესკონფერენციაზე, თუმცა პულტის დიქტატურის გაწელვა სულაც არ ყოფილა პრესკონფერენციის მთავარი თემა. ბატონი შალვა ყველაზე მეტად „საგანმანათლებლო ფაშიზმმა“ შეაწუხა თურმე.



დღეს საქართველოში საგანმანათლებლო ფაშიზმი გვაქვს სახეზე, როცა სამართალი დგება პოლიტიკაზე მაღლა, ეს დემოკრატიაა, მაგრამ როცა პირიქით — პოლიტიკა დგას სამართალზე მაღლა, ეს უკვე ფაშიზმია.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტს მაინც ექნებოდა უზენაესი ძალა და იგი სავალდებულოდ შესასრულებელი იქნებოდა განათლების სამინისტროს, ქალაქის განათლების სამმართველოს და რაიონის განათლების განყოფილების გამგეებისათვის, მაგრამ ეს ასე არ არის. განათლების ბიუროკრატიას ისე შეუყვარდა სავარძელი, აღარც სასამართლოს სცნობს, აღარც ზნეობას, აღარც პოლიტიკას...

როგორც ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, განათლების სამინისტროს 1997 წლის 30 სექტემბრის № 469 ბრძანებულებით საბავშვო ბაღებიდან ძირითადი პერსონალი — სხვადასხვა საშტატო ერთეულები დაითხოვეს, საკონსტიტუციო სასამართლომ კი ლეიბორისტული პარტიის სარჩელის საფუძველზე 1998 წლის 2 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება, ამ ბრძანებულებას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია, რადგან მისი გამოცემისას დაშვებულია სერიოზული ხარვეზები.

„ლეიბორისტული“ პარტიის ლიდერი შ. ნათელაშვილი აცხადებს, რომ მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, პედაგოგებს სამსახურში აღდგენაზე უარს უცხადებენ. ნათელაშვილი იმუქრება, თუ ასეთი უკანონო ქმედებები გაგრძელდება, პარლამენტის სესიაზე დაასახელებენ პირებს, რომლებიც საკუთარ ინტერესებს ანაცვალებენ საქართველოს ბავშვების ინტერესებს.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად პრესკონფერენციის ორგანიზატორი საქართველოში „პარტიული ფოთოლცვენის“ ცუდ ტენდენციასაც შეეხო. მან თქვა, რომ სამი-ოთხი ძლიერი პარტია სავსებით საკმარისია საქართველოსათვის, თუმცა აქვე ისიც განაცხადა, მომავალი ბლოკის შესახებ ანუ „იმ დიდი ფოთლის შესახებ“ რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს, ჯერჯერობით რამე ჩამოყალიბებული აზრი არც მე გამაჩნია და არც ჩემს კოლეგებსო. მოსალოდნელი ასეთი „დიდი ფოთლის“ ჩამოვარდნის საკითხზე მსჯელობას საკმაო ადგილი დაეთმო პრესკონფერენციაზე და აქვე ისიც ცნობილი გახდა, რომ ფრაქცია ლეიბორისტთან ერთად „ამ ფოთოლზე“ ფრაქცია „აღორძინებაც“ მოიაზრება...

— ლეიბორისტების ლიდერი აღიარებს, რომ „აღორძინებასთან“ კოალიციაშია და ისინი ერთმანეთის აზრებს იზიარებენ და შეთანხმებულად მოქმედებენ. დატოვებს თუ არა ფრაქცია „ლეიბორისტი“ პლენარულ სხდომებს, თუკი „აღორძინება“ ასე მოიქცევა, ამას მომავალი დებატები გვიჩვენებს. მსგავსი რამ დიდი ლეიბორისტის საუბრიდან გამომდინარე ნამდვილად შესაძლებელია.

**მანანა გელოვანი**

### ტალახიანი სასმელი წყალი პარლამენტს ვიზიტად ეწვია



ამღვრეული, ტალახიანი წყალი, რომელიც პლასტიკატის ბოთლით ფრაქცია „მაჟორიტარი-სოციალისტის“ წევრმა — ნოდარ ზაზაძემ ჟურნალისტებს საჩვენებლად მოგვართვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე, მართლაც საშინელი სანახავი გახლდათ, განსაკუთრებით სულისშემძვრელი იყო იმის მოსმენა, რომ ამ შავ წყალს ასპინძის რაიონის მოსახლეობა სასმელად ხმარობს.

— სათავე ნაგებობა საშინელ მდგომარეობაშია აბასთუმანში, ასპინძასა და ვაშლოვანში. ჩეხური პროექტითაა აგებული და ყოველწლიურად მისი მოწესრიგება უნდა ხდებოდეს, 6 წელია არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, მდგომარეობა ნელნელა უარესდება — შეიმჩნევა მოწამვლის ნიშნები, აუცილებელი ხომ არ არის ხალხი დაიხოცოს და მერე მოჰყვეს ქმედითი ღონისძიებები? მოვითხოვ, კომისიური წესით რაიონში მოხდეს ამ პრობლემის შემოწმება რესპუბლიკური სანიტარული სამსახურის და საერთოდ ყველას მიერ, ვისაც ეს ეხება — ამბობს ნოდარ ზაზაძე და საგანგაშო მდგომარეობის სურათს ცხადად უხატავს ჟურნალისტებს, თუმცა ლაბორატორიულ ანალიზი უკვე ზედმეტია, ვიზუალურად, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს ტალახი, რომელსაც წყალი შეიცავს.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, ამბობენ, იქნებ, არ დალოდებოდნენ „ურმის გადაბრუნებას“, რასაც ასპინძის მოსახლეობაში მსხვერპლის მოტანა შეუძლია და სათანადო ორგანოებს დროზე მიექცია ყურადღება ამ პრობლემისათვის! ჩქარა, ვიდრე არ არის გვიან!

**მანანა გლიაძე**

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

## პრეზიდენტი მართალს ამბობს

### ეკონომიკის დარგში

მსმენელებს არა თუ სიტყვა-სიტყვით, არამედ ასო-ასოც გვჯერა ის, რასაც პრეზიდენტი ბრძანებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის მსოფლიო ბანკთან და სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის შესახებ. ეკონომიკური მოღვაწეობის ეს ფორმაც და პრეზიდენტის ინტერვიუთა ეს ნაწილიც პრობლემათა ცალკე ბლოკს წარმოადგენს, და ჩვენ მას მთელი გულისყურით უნდა შევხვდეთ.

პრეზიდენტი გვეუბნება, მე და მსოფლიო ბანკის საქართველოს დეპარტამენტის დირექტორმა ქალბატონმა ჯუდი ოკონორმა „განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთო მსოფლიო ბანკში შემუშავებულ ენერგეტიკულ პროექტს, რომელიც თბილსრესის მე-10 ენერგობლოკის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ჩვენ უკვე დავიწყეთ ლაპარაკი მე-10 ენერგობლოკზე და არა მარტო ლაპარაკი, არამედ რეალური მუშაობაც."

ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა საქართველოს ბედით და, კერძოდ, მისი ეკონომიკური ბედით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის. რა შინაარსისა იყო ის „ლაპარაკი" ან რაში მდგომარეობს დაწყებული „მუშაობა", ამაზე პრეზიდენტი არაფერს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობა ჩვენთვის სწორედ ამ შინაარსს აქვს და არა თვით ლაპარაკის ფაქტს. თუ მსოფლიო ბანკმა უანგაროდ გვაჩუქა თანხა (რასაც დაჩვეულნი ვართ ამ ბოლო წლებში საერთოდ), **ჩვენი** მუშახელი დაასაქმა და **ჩვენი** მოხმარებისათვის ენერგობლოკი აამუშავა, მაშინ მადლობის მეტი რა გვეთქმის! თუ თანხა სესხად მოგვცა, ხელფასი **მისი** (და არა ჩვენი) მუშახელისთვის გვახდევინა და **ჩვენი** მომხმარებლისაგან აღებული გადასახადი სამართლიანად გაანაწილა ჩვენსა და უცხო ფირმებს შორის, ესეც კარგია, მაგრამ ამით ჩვენს საგარეო ვალს, რომელმაც უკვე ორ მილიარდ დოლარს მიაღწია, რამდენიმე მილიონი დოლარი კიდევ მოემატება. თუ თანხა სესხად მოგვცა, მაგრამ ჩვენი მუშახელი დაასაქმა, ან თავისი დაასაქმა, მაგრამ გამომუშავებული ენერგიით ჩვენი მრეწველობის გაცოცხლება გახადა შესაძლებელი, მაშინ მოქმედებაში კიდევ ახალი „პლუსები" და „მინუსები" შემოდის და ა. შ. და ა. შ. ყველა ამ ურთიერთგანსხვავებული ვარიანტის შემთხვევაში მათი მომგებიანობა-წამგებიანობა **გათვლადია** და ეს გათვლა მანამდე უნდა შესრულდეს, სანამ სიხარულს ან სინანულს გამოვთქვამდეთ ჩატარებული მოლაპარაკების გამო. ამ გათვლას პრეზიდენტის ვერც ამ გამოსვლაში, ვერც წინა ინტერვიუებში ვერ ვხედავთ, ისევე როგორც ვერ ვხედავთ იმის განსაზღვრას, მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, რისკენაც პრეზიდენტი მოგვიწოდებს, მართლაც შესაძლებელია საქართველოს დღევანდელ პირობებში თუ ფანტაზიის სფეროში ძევს. მსმენელს სჯერა, რომ მეათე ენერგობლოკის ამუშავებით, როგორც პრეზიდენტი ბრძანებს, ძირითადად დაკმაყოფილდება „საბაზრო მოთხოვნილება", მაგრამ ეს მას სიხარულს ვერ ჰგვრის, რადგან „საბაზრო მოთხოვნილება", გაზრდილი ფასებისა და მოსახლეობის სიღატაკის პირობებში სრულებითაც არაა იგივე, რაც მოსახლეობის მოთხოვნილება ან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილება. იგივე უნდა ვთქვათ „ტრანსპორტის პროექტის" და „სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის" შესახებ, რომელთათვისაც მსოფლიო ბანკმა, შესაბამისად, 12 და 46 მილიონი დოლარი გამოყო. მსმენელს სჯერა, რომ მსოფლიო ბანკის დახმარება ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება. მაგრამ „სჯერა" ერთია და „იცის", „დარწმუნებულია" — სხვა. მსმენელს ჰყურს, პრეზიდენტისაგან იმ პროექტთა სარგებლიანობის ისეთი დასაბუთება მოისმინოს, რომელიც ობიექტურ გათვლაზე იქნება დამყარებული. კიდევ უფრო რთულად დგას, ჩვენი ქვეყნის სამწუხარო გამოცდილების მიხედვით, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის იმ პროგრამის მიხედვით, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის იმ პროგრამის საკითხი, რომელიც, პრეზიდენტის სიტყვით, ითვალისწინებს „ინვესტიციებსა და სესხს კერძო სექტორისათვის." ასეთი სესხების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანას ამ ბოლო წლებში, თითქოს, გაეხსნა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კერძო მეწარმე (გლეხი) იმ სესხებთან თვითონ უშუალოდ ვერ მიდიოდა, ბანკები კი მას სესხის მიცემაში იმდენად დიდ **უკანონო** პროცენტს სთხოვდნენ, კანონიერის დამატებით, რომ ცხადი იყო, მათ ერჩიათ ამ ფულის სხვაგან დაბანდება, სახელდობრ მისი „დატრიალება" სპეკულაციასთან და ფლანგვა-ძარცვაზე თამამთან დაკავშირებულ სფეროებში, რომლებიც მოგების უფრო მაღალ პროცენტს იძლევა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

პრეზიდენტის ცნობით, მოხნულია 260 ათასი ჰა (შარშანდელზე 64 ათასით მეტი) და წლის დასაწყისიდან აკრეფილია 77 მლნ. ლარი [illegible]

[illegible]

## პრეზიდენტი ცდება

### ეკონომიკის დარგში

[illegible]

[illegible] ლაცია, თითქოს იგი ან უვიცობით, ან დაუდევრობით, ან თუნდაც მხოლოდ ანგარებით იყო ჩადენილი. ეს იყო შეგნებული ნაბიჯი, რომელმაც ფინანსურ ნოკდაუნში ჩაგვაგდო. საკითხავია: რა მიზნით გადაიდგა იგი? ახსნა (გარდა „მეზობელი იმპერიის ბოროტი ნებისა", რომელიც ყველაფრის ასახსნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ) ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთია: მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის, როგორც ჩვენი რეანიმატორისა და ქანგბადის მუდმივი მიმწოდებლის როლი გათვალისწინებული იყო ამ ნაბიჯში და სწორედ აქ დგება ჩვენ ინტერესთა თვალსაზრისით ამ ორი ორგანიზაციის როლის შეფასების უმწვავესი საკითხი.

ეს ორგანიზაციები ჩვენი არა მხოლოდ მშველელნი, არამედ მოკავშირეებიც იყვნენ და არიან იმ მხრით, რომ ეკონომიკური



აზრისა და საქმის იმ ფართო ფრონტს ეკუთვნიან, რომელმაც თავისი ჭკვიანურად შედგენილი პროგრამით დაანგრია „ბოროტების იმპერიის" სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და ამით „ხალხთა საპყრობილის" კარები გაუხსნა მის პატიმრებს ჩვენი ქვეყნის ჩათვლით. იგივე პროგრამა ახლაც აგრძელებს ამ მრუმე კომპლექსის აღდგენის მცდელობის ბლოკირებას. მაგრამ, ძროხაზე და ცხვარზე „წაკლული" ქათმისა არ იყოს, იგივე პროგრამა მექანიკურად ვრცელდება იმპერიის დანატოვარ ყველა იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც ცივილიზებული დასავლეთის მოკავშირედ არ ითვლებიან, არამედ კვლავ რუსეთის სტრატეგიულ „სივრცეში" რჩებიან, მისი სამხედრო მაჩანჩალები არიან. სანამ „ესენგეში" ვითვლებით და რუსეთს ჩვენთან ბაზები აქვს, ჩვენც სწორედ ასეთ ქვეყნად ვითვლებით და ხსენებული ორგანიზაციების მუშაობა ჩვენი ტექნოლოგიური მოკავშირეობისკენ კი არა, ჩვენი წარმოების (განსაკუთრებით კი მრეწველობის) არარსებობისკენ იქნება მიმართული, ჩვენი გულწრფელი ყოფითი და ჰუმანიტარული დახმარების პარალელურად. შევარდნაძის ადმინისტრაციას ეს ხვედრი აკმაყოფილებს. მაგრამ საქართველოს არც დღევანდელ დღეს, როცა მოსახლეობა ნელა იხოცება შიმშილით, არც, მით უმეტეს, ხვალინდელ დღეს და მის ისტორიას ეს არ **აკმაყოფილებს**. ამაში მდგომარეობს შევარდნაძის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპული შეუთავსებლობა საქართველოს და მისი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან.

### შინაგანი პოლიტიკის დარგში

ძალიან მძიმე ილუზიაა (თუ ეს აზრი გულწრფელია) და ძალიან დიდი ცოდვაა 1991-92 წლებში მომხდარის ვერმპატიებელ ადამიანთა მოხსენიება ისეთი სიტყვებით, რომლითაც მათ პრეზიდენტი ახსენებს. იგი ამბობს: „ზოგიერთი ვერ გამოსულა ოთხმოციანი წლების დასასრულისა და 90-იანის დასაწყისის პერიპეტიებიდან. ვერ განთავისუფლებულა მაშინდელი ჩვეულებისაგან."

დანაშაულის პატიება-არპატიება მხოლოდ ფსიქოლოგიის საგანი არაა. იგი **მორალის** საგანია და დრო მისი გადაჭრის საშუალებად ყოველთვის ვერ გამოდგება. ადამიანს ვერ მოსთხოვ, დამნაშავეებს და მათ დღევანდელ მემკვიდრეებს სახელმწიფო საჭესთან შეუნდოს ის, რისი შენდობის უფლებაც მოკვდავს არა აქვს. დავანებოთ თავი იმ ფაქტს, რომ საქართველოში წამება და სხვა ანაქრონიზმები დღესაც არსებობს. პრეზიდენტის სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს მოქალაქეობრივი მეხსიერების უფლება წავართვათ ანუ ისინი მარტოოდენ მატერიალური ინტერესებით მაცხოვრებელი არსებების დონემდე დაიყვანოთ.

### საგარეო პოლიტიკის დარგში

თუ საბჭოთა კავშირისდროინდელ სტანდარტულ ფრაზას — რომ პრეზიდენტის სტუმარს ბატონ რიბკინს თურმე „განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება" ჰქონია საქართველოს მიმართ, — მაინცდამაინც ინფორმაციულ მნიშვნელობას არ მივანიჭებთ (რომელიც მას, რაღა თქმა უნდა, არა აქვს), პრეზიდენტს მაინც შეცდომად უნდა ჩაეთვალოს მოლოდინი, რომ ეს ფრაზა ვინმეზე შთაბეჭდილებას მოახდენს. შემდგომი კონსტატაცია, რომ პრეზიდენტმა და რიბკინმა განიხილეს „საქართველოში კონფლიქტების მოგვარების გზები, საშუალებები და ტემპი", უფრო სახიფათო ილუზიას გამოხატავს, თითქოს რუსეთის მხრიდან შესაძლებელი იყოს უკეთესი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ, ვიდრე საქართველოს საქმეებში ჩარევაზე ხელის აღება, და თითქოს რუსეთის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი იყოს საქართველოს მაქსიმალურად აქტიური დიპლომატიური და პოლიტიკური დაცვითი ნაბიჯების გარეშე. ასე რომ რუსეთის „საშუალებათა მობილიზაცია" ქართველ ლტოლვილთა შინ დაბრუნებისათვის (**ვის ხელში დაბრუნებისათვის?**) ჩვენი ქვეყნისათვის უკვე რამდენიმე წლის მანძილზე კარგად ცნობილი სატყუარაა, ისევე როგორც ამავე ინტერვიუში გამოთქმული გულუბრყვილო იმედი, რომ რუსეთი „ისევეა დაინტერესებული საქართველოში სტაბილობის არსებობით, როგორც საქართველო — რუსეთში სტაბილობის შენარჩუნებით." აი, ყველა ის საგარეო-პოლიტიკური დებულებები, რომლებიც შეგვიძლია — თუკი ძალიან მიწადინებულნი ვართ ამას — „ილუზიებად" მივიჩნიოთ. სხვა ყველა პოზიციები, რომლებიც ინტერვიუს ამ საგარეო-პოლიტიკურ ნაწილშია გამოთქმული, მხოლოდ ჭეშმარიტების შეგნებულად დამალვის სურვილით თუ აიხსნება და საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პრინციპულ უპერსპექტივობას გამოხატავს.

## პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

### საგარეო პოლიტიკის დარგში

პრეზიდენტის სიტყვები, რომ აფხაზეთში მყოფ მოსახლეობას „არანაკლებ უჭირს", ვიდრე იმათ, ვისაც სახლები დაუწვეს, რბილად რომ ვთქვათ, დამაჯერებელი არ არის, ხოლო მისი გეგმა, რომ პრობლემები გადაჭრას არძინბასთან და ჩიბიროვთან რუსეთის ეგიდით წარმოებული დიალოგის საშუალებით, არათუ ილუზიაა, არამედ ილუზიის **სიმულაციაა** (გათამაშებაა) გულუბრყვილო მსმენელის წინაშე. რუსეთთან „სამხედრო თანამშრომლობაზე" ლაპარაკი ისეთი პოლიტიკოსის მხრიდან, ვინც სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „კატეგორიული მოთხოვნების" მიყოლას ფიქრობს, ისეთი აშკარა წინააღმდეგობაა, რომ ოდნავ მაინც კრიტიკული აზრის მქონე მსმენელმა შეიძლება თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს. პოლიტიკა, რომელიც ამ სიტყვებშია გამოხატული, იმავე მანკიერებებზე დამყარებული კურსი გახლავთ, რაც საქართველოს ეკონომიკური ზემოხსენებული კურსი, იგი მიუღებელია, პირველ ყოვლისა, თავისი **ეკლექტურობით**, ანუ ყოვლად შეუთავსებელი მიზნებისა და ამოცანების ურთიერთაღრევით, მეორეც, **საკუთარი ეროვნული ინტერესებისადმი სრული გულგრილობით**, რომელიც ადამიანების, ტერიტორიების, უფლებების, ქონების, ღირსების და ისტორიული ეროვნული პოზიციების უპირობო დათმობაში მდგომარეობს. მხედველობაში გვაქვს კერძოდ შემდეგი:

კავკასია დღეს რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების უკან დახევის და დასავლური ინტერესების წინწამოწევის ზონაა.

დასავლეთის მიზანია ამ ზონის უპირატესობათა მაქსიმალური გამოყენება თავისი ეკონომიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებისათვის რამდენიმე თაობის მანძილზე (სანამ ძალთა და ინტერესთა გლობალური განაწილების დღევანდელი სურათი შეიცვლებოდეს), ხოლო რუსეთის მიზანია პოტენციაური პლაცდარმების შენარჩუნება მომავალი დაბრუნებისათვის ამ ზონაში. რუსეთის გეგმა საქართველოსთვის **მომაკვდინებელია**: იგი გულისხმობს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს დაყვანას ფიქტიურობის დონემდე და მისი ტერიტორიის ათვისებას, ერთის მხრივ, საკუთარი ხელით, მეორეს მხრივ, საქართველოს მეზობლებისა და სეპარატისტული ეთნოსების ხელით. დასავლეთს გეგმა საქართველოსთვის მომაკვდინებელი არ არის, (პირიქით, იგი ჩვენი მხსნელია და ჩვენი მოკავშირეა ჩვენი ზონიდან რუსეთის განდევნის საქმეში), მაგრამ იგი მომაკვდინებელი საშიშროების **ელემენტს** შეიცავს. სახელდობრ, შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ხსენებული რამდენიმე თაობის მანძილზე დასავლეთის ინტერესები ამ ზონაში სრულად იყოს რეალიზებული, მაგრამ საქართველო ისე დანგრეული აღმოჩნდეს ეკონომიკურად, დემოგრაფიულად, ორგანიზაციულად და ფსიქოლოგიურად, რომ საერთო ვითარების შეცვლისთანავე ამან კარტოგრაფიული შედეგებიც მოიტანოს (საქართველო რუკიდანაც გაქრეს). შევარდნაძის ე. წ. „ლავირების" პოლიტიკა დასავლეთსა და რუსეთს შორის სწორედ ამგვარი პერსპექტივის განხორციელების პოლიტიკაა. ერთის მხრივ, იგი, ისევე როგორც თვით რუსეთის დღევანდელი მმართველები, უსიტყვოდ ასრულებს დასავლეთის ნებას ყველა **იმ** საკითხში, რომელზეც დასავლეთის მკაფიოდ გამოთქმული პოზიცია არსებობს (ასეთია საქართველოსათვის სასიცოცხლო საკითხების ერთი მეოცედი: მაგალითად, დერეფანი, ნავთობი და ზოგი სხვა). მეორეს მხრივ, იგი უსიტყვოდ მიჰყვება რუსეთის ნებას ყველა სხვა საკითხში (ასეთია საქართველოსათვის სასიცოცხლო საკითხთა დანარჩენი ცხრამეტი მეოცედი). იგი ქმნის საქართველოში რუსეთის საყრდენ „ოსეთს", მზადაა დაეთანხმოს კონფედერაციას აფხაზეთში, ძირს უთხრის საქართველოს ეკონომიკურ სისტემას და ა. შ. ამ პოლიტიკას მოაქვს მისთვის პირადი (და **მხოლოდ** პირადი!) მხარდაჭერა ორივე მხრიდან. ასეთი პოლიტიკა გალიზიანებისა და, როგორც იტყვიან, „კბილთა ღრჭენის" ფონზე, რაც სავსებით ბუნებრივია, მაინც დიდ კმაყოფილებას იწვევს რუსეთში, რომელსაც ამავე ფუნქციის შესასრულებლად საქართველოში სხვა პრესტიჟიანი ფიგურა არ ეგულება, და ამავე დროს მხარდაჭერას პოულობს დასავლეთის მხრიდან, რამდენადაც საქართველოს ინტერესთა ის ცხრამეტი მეოცედი მისი პრობლემა არ არის. არამედ **მხოლოდ** საქართველოს პრობლემაა. ახლა საკითხავია: გეგმავს თუ არა რუსეთი, ყოველ შემთხვევისთვის მაინც, იმისთვის მზადყოფნას, რომ შევარდნაძისთანა „საზიარო" ფიგურას საქართველოს სათავეში არასაზიარო, „საკუთარი" ფიგურით — თუნდაც არაპრესტიჟული ფიგურით — შეცვლა მოუნდომოს? ალბათ, გეგმავს, მაგრამ მხოლოდ „ყოველ შემთხვევისათვის". ზემოხსენებული „საზიარო" ფიგურა მას ყველა სხვას ურჩევნია. საფიქრებელია, ამისთვის მას პანტ. გიორგაძეზე და მის მსგავსებზე უფრო სერიოზული ფიგურაც ჰყავს, თუმცა მისი უყოლობის შემთხვევაშიც გიორგაძის „მოღვაწეობა" იკმარებდა იმის **სიმულაციისათვის**, თითქოს შევარდნაძის პოლიტიკას საქართველოში დღეს მოწინააღმდეგე ჰყავს არა ეროვნული ძალების — ან, თუ გნებავთ, არა მხოლოდ ეროვნული ძალების — არამედ იმპერიულ-ეკონომისტური ძალების მხრიდანაც.

თქმულით აიხსნება ორშაბათის რადიოინტერვიუს კიდევ ორი საინტერესო პუნქტი. რიბკინის მზაობა, გაგებით მოეკიდოს აფხაზეთში უკრაინის კონტიგენტის ჩადგომას სამშვიდობო ფუნქციით, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ამ კონტიგენტის სადაურობას ნელ-ნელა დასავლეთისკენ გადაწევის წინასწარგანსაზღვრული ტენდენცია აქვს რაც, „კავკასიის კოლექტიური უსაფრთხოების" ახლებური და რუსეთისგან შედარებით დამოუკიდებელი რეგულირების სისტემას შექმნის. ცხადია, რომ ამ სიახლეში ქართული დიპლომატიის მისხლისოდენა წვლილი არ ურევია და რომ ეს სიახლე საქართველოსთვის აფხაზეთის ან მისი ქართველი მოსახლეობის სტატუსის გაუმჯობესების არანაირ მინიშნებას არ შეიცავს, მეორეც, პრეზიდენტის შემართება იმათ მიმართ, ვინც „მღვრიე წყალში ღლავის დაჭერას" ფიქრობს და საქართველოს დამოუკიდებლობას ემუქრება, ღია კომუნისტური აგენტურის ზემოხსენებულ სიმულირებულ როლს ეხება და ამ სიმულაციის ეფექტის გაზრდას ისახავს მიზნად.

### ეკონომიკის დარგში

ძალიან საინტერესოა (რბილად რომ ვთქვათ) პრეზიდენტის მსჯელობა ბენზინის ფასების შესახებ. პრეზიდენტი ბრძანებს, რამდენიმე წლის მანძილზე „ჩვენ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეოთხე გვერდიდან

„ინარჩუნებდით“ მსოფლიო ფასებზე უფრო დაბალ ფასებს საწვავზე, ახლა კი „ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება უკვე შეუძლებელიაო“. მსმენელმა (და მკითხველმა) შეიძლება იფიქროს, რომ საქართველოს სახელმწიფო თავისი პრეზიდენტის მეთაურობით აფინანსებდა საწვავის დაბალი ფასების სტაბილიზაციას, რაიმე საგანგებო სახელმწიფო პროგრამას ახორციელებდა დაბალ ფასად საწვავის შოვნისათვის მსოფლიოს რომელსამე კუთხეში ან სხვაგვარად ზრუნავდა ამ დაბალ ფასებზე, რომლებიც, ამგვარად, მისი მოქმედების შედეგია. სრულებითაც არა! დაბალი ფასები საწვავზე თვით საქართველოს იმ კომერსანტებმა შექმნეს და „ინარჩუნებენ“ დღემდე, ვინც ამ სფეროშია დასაქმებული, და შექმნეს — ეს არ დაგავიწყდეთ — ამ დარგში იმ კრიმინალური მონოპოლიური მაფიების მბრძანებლობის პირობებში, რომელთაც თავისი ძალა კონკურენციის ნიჭით კი არა აქვს მოპოვებული, არამედ მხოლოდ სახელმწიფო აპარატთან გადაჯაჭვულობის (მათ შორის, სისხლისმიერი ნათესაობით გადაჯაჭვულობის) წყალობით. ყველამ ვიცით,



რომ თუ ახალი ბიზნესმენი შემოიჭრა ამ სფეროში და ბენზინის გაყიდვა თუნდა ერთი თეთრით უფრო იაფად მოახერხა, მას თავისი ბენზინიანად დაწვავენ და აორთქლებენ. იმიტომ კი არა, რომ მაფიოზები ძალიან „ვაჟკაცები“ არიან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხელისუფლებასთან, სახელდობრ, მის ძალიან მაღალ ეშელონებთან გადაჯაჭვულნი არიან. ასე რომ საწვავის შედარებით დაბალი ფასები საქართველოში არსებობს არა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად, არამედ მისი „მზრუნველობის“ **მიუხედავად**. მაფიების სახელმწიფო მფარველობა რომ არ ყოფილიყო, ბენზინის ფასები უფრო დაბალი იქნებოდა (და, თუ არ ვცდები, უფრო იაფი არის კიდეც სომხეთში.)

ახლა განზრახული ყოფილა კანონმდებლობითი წესით ამ ფასების გაზრდა (ალბათ საწვავის დამატებითი დაბეგვრის გზით). პრეზიდენტს, როგორც ჩანს, ძალიან დაბალი აზრი აქვს თავისი მსმენელის, მკითხველის და ამომრჩევლის განათლებასა და კრიტიკული აზროვნების უნარზე, როცა ბრძანებს, რომ ამ მომატებით უპირატესად დაზარალდებიან შედარებით შეძლებული ადამიანები, სახელდობრ, ისინი ვისაც მანქანა ჰყავს. არ არის მართალი! დღეს ბავშმაც კი იცის, რომ საწვავის ფასების გაზრდას ავტომატურად მოსდევს (გეომეტრიული პროგრესიით) ფასების ზრდა მთელ სამომხმარებლო სფეროში, საკვების ჩათვლით, მაშასადამე, ამ გადასახადით გამოწვეული ტვირთი მით უფრო დიდი პროპორციით აწვება ოჯახს, რაც უფრო დიდია საკვების ხვედრი წონა ამ ოჯახის ბიუჯეტში. ამგვარად, ახალი ეკონომიკური ტვირთი დააწვება ძირითადად და უპირატესად მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებს — იმათ, ვინც პურსა და კარტოფილში ხარჯავენ თავის ხელფასს, და არა იმათ, ვინც მანქანით სეირნობს ან საქმეზე დადის. გაძვირდება ე. წ. „სამომხმარებლო კალათა“ და გაძვირდება, შესაძლოა, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე პრეზიდენტის მიერ დამადლებული ათპროცენტიანი ნამატია ხელფასებზე და მისგან შეპირებული კიდევ თხუთმეტიანი ნამატი. რა ვიცით, რომ უფრო გაძვირდება? არ ვიცით ზუსტად. ეს მხოლოდ ვარაუდია. მაგრამ რა იცის პრეზიდენტმა, რომ იმ მომატებული ათი პროცენტით იმ გაძვირების კომპენსაცია მოხდება? არც მან იცის. მისი მხრიდანაც ეს მხოლოდ ვარაუდია. ამგვარ საკითხებს გათვლა უნდა, მასში ჩართულ რიცხვებს კი — **გამოქვეყნება**. პრეზიდენტს მათი გამოქვეყნება არც ადრე უც-

გაგრძელება მე-8 გვერდზე.

# აღუდგებოდა თუ არა წინ შევარდნაძე კრემლის ჯალათებს?!

12 აპრილს სამთავრობო ტელევიზიის I არხის ეთერში ბატონი პრეზიდენტის ინტერვიუმ მიიქცია ალბათ ბევრი ჩვენთაგანის ყურადღება. ინტერვიუს დასაწყისშივე გამაოცა ბატონი ედუარდის ფრაზამ, ტელევიზია მე არ მწყალობს, დროს მითვლისო. ერთი კი გავიფიქრე, არჩილ გოგელიას ხომ არ შეუდგა წყალი-თქო, მაგრამ მაშინვე უარვყავი ეს აზრი, როცა პრეზიდენტის წინაშე არჩილ გოგელიას პირშავობის ვერცერთი ფაქტი ვერ გავიხსენე. ეგ კი არადა, პრეზიდენტზე გადამეტებული ყურადღების ამ ცოტა ხნის წინანდელი ფაქტი წამოტივტივდა მეხსიერებაში მყისვე. ეტყობა, ჩვენს გალატაკებულ მოსახლეობას ლატარიისა და ლოტოს თამაშით ფულის მოგება შემორჩათ იმედად, ჰოდა, სატელევიზიო თამაშ „ლოტომაესტროს“ ლამის მთელი საქართველო თამაშობს და შესაბამისად უცქერის, ვისაც დენი აქვს, რა თქმა უნდა. ეს გადაცემა სტაბილურად ერთი და იმავე დროს არის ეთერში და გახსოვთ ალბათ, მაშინ, როდესაც მთელი საქართველო სულმოუთქმელად ელოდა ამ გადაცემის დაწყებას, ამ პერიოდს დაამთხვიეს ბატონი პრეზიდენტის ლამის ორსაათიანი ინტერვიუ, რომელიც, სხვათა შორის, განმეორებით გაუშვეს ტელეეკრანზე და მე მგონია, პრეზიდენტის მიმართ უფრო უარყოფითი განწყობა გამოიწვია, ვიდრე დადებითი, რადგან მოსახლეობისათვის საკმაოდ შეურაცხმყოფელი იყო აღნიშნული პროგრამის დიდი დაგვიანებით გადაცემა. სამაგიეროდ, ამ გონებამახვილური ნაბიჯით არჩილ გოგელიამ საკმაო ქულები ჩაიწერა პატრონის თვალში. ასე რომ, პრეზიდენტის ფრაზა, ტელევიზია არ მწყალობსო, სიმართლეს არ შეეფარდება და აქ უკვე პრეზიდენტის მიერ მოსახლეობის თვალში ქულების ჩაწერას აქვს ადგილი.

12 აპრილის ინტერვიუში პრეზიდენტი ცდილობდა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებში თავისი როლისა და დამ-





სახურების წარმოჩენას, რაც გულუბრყვილოებში და მიამიტებში ალბათ მოახერხა კიდეც. დიახ, ფაქტია, რომ 1978 წლის 14 აპრილს ეროვნული ინტერესების დასაცავად გამოსული ქართველების დემონსტრაცია საბჭოთა რეჟიმის მიერ არ იქნა დახვრეტილი და ქართული ენის სახელმწიფო ენად დატოვების მიზანი უმსხვერპლოდ იქნა მიღწეული, რაც საქები და ტაშის საკვრელია, მაგრამ, როცა ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას ანალიზის სასწორზე ვდებ, ჩემს ცნობიერებაში მისი კარიერისტული ინტერესები ყოველთვის გადასწონის ხოლმე მშობლიური ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ძალიან მოკლედ ვიტყვი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოში შევარდნაძის მმართველობის დროს ეკონომიკური დანაშაულისათვის სიცოცხლეს გამოასალმეს ადამიანები, რაც მთელი სსრკ-ს მასშტაბით იმჟამად თითქმის არ ხდებოდა. დახვრიტეს თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდები, რომელთა სიცოცხლის შენარჩუნებას, ღრმად მწამს, რომ თანამდებობრივი რისკის გაწევის შემთხვევაში, დიდი შანსი ჰქონდა. ამავე დროს, იმავე პერიოდში არნახულ მასშტაბებს მიაღწია აფხაზ ნაციონალისტთა წარმატებებმა საქართველოს ინტერესების ხარჯზე, რაც გამოვლინდა საკადრო პოლიტიკაში და აფხაზური შოვინისტური იდეოლოგიისათვის ხელის შეწყობაში აფხაზური უნივერსიტეტისა და ტელევიზიის გახსნის უფლების მიცემით, რამაც ამჟამინდელი აფხაზური სეპარატიზმის მომზადებაში ლომის წილი შეიტანა. იმდროინდელი საქართველოს მთავრობის დადგენილება რუსული ენის გაძლიერებული სწავლების შესახებ, საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის მორიგი გამოვლინება იყო და მისი ისე წარმოჩენა, თითქოს ეს რუსეთის თვალის ასახვევად იყო გაკეთებული, მეტად დაუჯერებელია. ვისაც სჯერა, მათზე თქმულა „ნეტარ არიან მორწმუნენიო“...

შევარდნაძის ხელისუფლების კარიერისტულ მიზნებს ემსახურებოდა ასევე 1983 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის პომპეზური აღნიშვნა, რაც არა მგონია, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართული სულის აღზევებას სჭირდებოდა. რაც შეეხება 9 აპრილის ტრაგედიას, ერთხელ უკვე აღვნიშნე, იქიდან გამომდინარე, რომ სსრკ-ს კპ-ს პოლიტბიუროს გადაწყვეტილების გარეშე ამგვარი აქცია ვერ განხორციელდებოდა და რადგან 9 აპრილამდე ედუარდ შევარდნაძის კარიერას საფრთხე არ დამუქრებია, ლოგიკურად უნდა ვიფიქროთ, რომ მას 9 აპრილის სისხლიანი აქციის მოწყობის წინააღმდეგ პოლიტბიუროს სხდომაზე თავი დიდად არ გამოუდვია.

ახლა გადავხედოთ, შევარდნაძის მიერ საქართველოში ხელისუფლების მეორედ ხელში ჩაგდების შემდეგ მომხდარი მოვლენები როგორ ახასიათებენ მის პიროვნებას. პირველ ყოვლისა გასახსენებელია 1992-93 წლებში საქართველოში დატრიალებული სამოქალაქო ომი, რომელსაც, დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, თუ როგორ შეეწირა აფხაზეთი. საქმე იმაშია, რომ დამხობილი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, შევარდნაძეს საქ...-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სტალინი-ანტისემიტი?



წლეულს ქართველი და ებრაელი ხალხი მადლიერებით აღნიშნავს ჩვენს ერებს შორის ურთიერთობის 2600 წლისთავს. ამ ჯანმრთელი ურთიერთობის შებღალვის ერთი შემთხვევაც არ ახსოვს ისტორიას. 26 საუკუნის წინათ თავიანთი ისტორიული სამშობლოდან მტრის მიერ ოტებული ებრაელთა პირველი ჯგუფები მიიღეს, დააპურეს და დაასახლეს ჩვენმა წინაპრებმა საქართველოში და მას შემდეგ ქართველი და ებრაელი ხალხები ერთად ილვწოდნენ მათი საერთო სამშობლოს — საქართველოს საკეთილდღეოდ; ხოლო შემდეგში, როდესაც ქართველი ებრაელები თავის სამშობლოში უკან დაბრუნდნენ, არც იქიდან ივიწყებენ თავიანთ მეორე სამშობლოს, საქართველოს და იქიდანაც ცდილობენ ხელი წაგვახმარონ.

ამ მხრივ ისინი საქართველოში ანალოგიური გზით აღმოჩენილ ზოგიერთ უმადურ ერს როდი გვანან.

ამ წერილის მიზანს ის როდი შეადგენს, რომ წარმოაჩინოს, ისეთ დიდ ქართველს, როგორიც სტალინი იყო, რომ არ შეიძლებოდა სჯავრებოდა ებრაელები და ანტისემიტი ყოფილიყო, როგორც ამას უსაფუძვლოდ აბრალებენ. ამ წერილის მიზანს უბრალოდ შეადგენს ის, რომ მკითხველს კიდევ ერთი პატარა ფრაგმენტი გააცნოს ცნობილი დისიდენტის, გიორგი ქართველიშვილის წიგნისა — „ძლივს, ჩემი წიგნი“. ეს იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ წიგნის მცირე ფრაგმენტმა, რომელიც „საქართველოს“ 10-13 აპრილის ნომერში დაიბეჭდა, მკითხველთა ინტერესი გამოიწვია.

• • •

... რუსეთის რევოლუციურ წრეებში განსაკუთრებით ორი დაჯგუფება გამოირჩეოდა: ქართული და ებრაული. ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული სტალინის მოწინააღმდეგე, რომელიც ებრაულ დაჯგუფებას ედგა სათავეში-ტროცკი იყო. ახლა ბევრს ლაპარაკობენ სტალინის ანტისემიტიზმზე. ძირითადად რუსი ებრაელები. ეს ძალზე გულუბრყვილოდ გამოიყურება: გამოდის, რომ მას ეჯავრებოდა ებრაელები, ხოლო ებრაელი პარტიული ლიდერები, ტროცკის თამადობით, პირდაპირ დნებოდნენ მისადმი სიყვარულით?... ეს ხომ აბსურდია! კრემლის სათავეში მყოფთა შორის მიდიოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და სტალინის გამტყუნება ანტისემიტიზმში მხოლოდ იმიტომ, რომ მან საშუალება არ მისცა ტროცკისა და მის თანამოაზრეებს გაენადგურებინათ იგი, ანდა ნებაყოფლობით არ დაუთმო მათ ხელისუფლება, ვერავითარ ლოგიკას ვერ უძლებს. ხელისუფლებისათვის ამ ბრძოლაში საკითხი პირდაპირ ასე იდგა: ვინ-ვის? და ამ ბრძოლიდან ჯუღაშვილი გამარჯვებული გამოვიდა! მაგრამ ხომ შესაძლებელი იყო ტროცკის გაემარჯვა, მაშინ რა შეიცვლებოდა? მხოლოდ ის ფაქტი, რომ სტალინმა ასე ტრიუმფით გაუსწორა ანგარიში თავის მოწინააღმდეგეებს, პირად, პარტიულ, იდეოლოგიურ, პოლიტიკურსა თუ სახელმწიფო, მოწინააღმდეგეებს და შესძლო ამდენი ხნის განმავლობაში ემართა ამხელა სახელმწიფო დამაჯერებლად ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგეებსა და კონკურენტებზე თავის კომუნისტურ გარემოცვაში. ეს გარემოება თავად ლენინმა შენიშნა და შესაფერისად დააფასა.

რომელ ანტისემიტიზმზეა ლაპარაკი? მას არ შეიძლება ჰქონოდა ასეთი გრძნობა! მას მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობების ორი ასპექტი ესმოდა: მეგობრები და მტრები და რამდენადაც იგი თავად სულითა და ხორცით პარტიასა და მის იდეებს ეკუთვნოდა და, ამდენად თავისი პირადი მტრებიც კომუნიზმის მტრებად მიაჩნდა. მას, ვინც მისი ერთგული იყო, სტალინი აწინაურებდა, ახალისებდა, არავითარ ჯილდოს არ აკლებდა, ხოლო მოწინააღმდეგეებსა და პირმოთნეებს კი დაუნდობლად ანადგურებდა. რომელ ანტისემიტიზმზეა ლაპარაკი, თუ სტალინი კიდევ უფრო გაშმაგებით ანადგურებდა ქართველ ბოლშევიკებს, თავის ყოფილ თანამოაზრეებს, თავის ბავშვობის მეგობრებსა და უახლოეს ნათესავებსაც კი? განა სტალინმა არ გაწყვიტა მთელი ქართველი ინტელიგენცია, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ასე მიაჩნდა: რადგან იგი ქართველი იყო, მაშასადამე, ქართველები მისი გაცილებით ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე სხვები. მას თავისი ვაჟიც კი არ დაუნდვია. ეს როგორ მოხდა, რომ იგი ტყვედ ჩავარდა, თუნდაც მძიმედ დაჭრილი და სიკვდილის ბრჭყ-



ალებიდან არ დაიხსნა იგი. და საერთოდ, ვის ინდობდა იგი: რუსებს, უკრაინელებს, სომხებს, თათრებს, აზერბაიჯანელებს, უზბეკებს, თუ ვის, ვისზედაც თუნდაც ოდნავი ეჭვი მაინც შეეპარებოდა მისადმი ერთგულებაში? რა შუაშია აქ მისი რაღაც განსაკუთრებული ზიზღი ებრაელებისადმი-„ანტისემიტიზმი“?

სტალინის დადანაშაულება რომელიმე ერთი ხალხისადმი სიძულვილში სინამდვილეს არ შეეფერება. ჩემი აზრით, ებრაელები მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან თავიანთი ეროვნული ღირსებისადმი და ყველაფერი ეს ამითაა გამოწვეული.

**ამბროსი გრიშიკაშვილი**

# მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ

## ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №18

ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის გენოციდზე პასუხისმგებელი მისი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რუსი მიწის „დიდი პატრიოტი" ალექსანდრე ნეველია, რომლის სულმდაბლობამ და სიხარბემ გააერთიანა იგი თათრებთან.

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ „ჭკვიან ალექსანდრეს" არ სურდა გაერისკა, მაგრამ ამ შეხედულებას სულ უბრალოდ აქარწყლებს სიტყვა „ნევრიუევა რატ?!" არადა ეს ისტორიის ის პერიოდია, როდესაც სკანდინავიური წარმოშობის სამთავროები გაერთიანებული იყვნენ ერთიან, ცენტრალიზებულ დასავლური ტიპის სახელმწიფოდ და ეს პროცესი ძალას იკრებდა. მონღოლების შემოსევებისაგან შეშფოთებული ევროპა ემზადებოდა მათთან საომრად. ცდილობდა შეექმნა ევროპელ მეფეთა კავშირი ურდოს წინააღმდეგ.

პაპმა ინოკენტი IV-მ მიმართა ევროპულ სახელმწიფოებს მოწოდებით, დახმარებოდნენ რუსეთის სამთავროებს. იგი ცდილობდა, შეექმნა ევროპული სახელმწიფოების მეფეთა კავშირი ურდოს წინააღმდეგ.

ინოკენტი IV-მ გადაჭრა უამრავი რელიგიური პრობლემა. მან ჯვაროსნებს აუკრძალა რუსული მიწების დაპყრობა.

დანიელ გალიცკი მთავარი ფიგურა გახდა, რომლის გარშემოც ერთიანდებოდნენ სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთ რუსეთის სამთავროები. მისმა დასავლურმა ორიენტაციამ, სიახლოვემ ევროპულ სამეფო სახლებთან და პაპთან ურთიერთობის გაუმჯობესებამ სერიოზულად შეაშფოთა ურდო. მონღოლ-თათართა დაფუძნების საშიშროება გალიცკისა და ვოლინსკის (ერთადერთი ისტორიულად რუსული მიწები) და შემდეგ დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ მიწებზე რეალური იყო. ისეთი ავტორიტარული თვისებების მქონე თავადის გამოჩენა, როგორც დანიელ გალიცკი გახლდათ, გამართლებული იყო. 1251 წელს გალიცკიმ ქალიშვილი მიათხოვა დიდ თავად ანდრეის და



ამით დასავლურ ორბიტში მოაქცია ჩრდილო-აღმოსავლეთ სამთავრო. სწორედ დანიელს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია თათარ-მონღოლებისათვის, სწორედ მას შეეძლო წინ აღდგომოდა მონღოლების მცდელობას დაეყოთ რუსული მიწები, მაგრამ „ნევრიუევა რატმა!" ანუ ალექსანდრე ნეველის გამყიდველობამ ყველაფერი ჩაშალა. ამით ალექსანდრეს „გმირობები" არ დასრულებულა. იგი ეხმარებოდა რუსული მიწების აღწერაში მონღოლებს, რის გამოც იგი ხანის ნდობით აღჭურვილი პირი გახდა.

აღწერამ მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია მოსახლეობაში, იმ სამთავროებშიც კი სადაც მონგოლების მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. პირველნი აღდგნენ ნოვგოროდელები, რომლებმაც გააძევეს ნოვგოროდიდან ალექსანდრეს ვაჟი და მოიწვიეს ფსკოვიდან ტვერის თავადის იაროსლავის ვაჟი, რომელიც ანდრია სუზდალსკის მომხრე იყო.

გავამახვილოთ ყურადღება შემდეგ გარემოებებზე: სანამ თათრები ებრძოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ სამთავროებს — ნოვგოროდის კონკურენტებს მანამ ნოვგოროდელები თათრებთან მეგობრულ პოლიტიკას აწარმოებდნენ. როგორც კი საქმე მიდგა მათ საკუთარ ქისაზე, გაყოფა მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის.

როგორც კი ნოვგოროდელებმა ალექსანდრეს ვაჟი გააძევეს და განაცხადეს, რომ მიუღებელი იყო ურდოელთა აღწერა, ნეველმა შეკრიბა დრუჟინა და გაემართა ნოვგოროდისაკენ, მან გადააყენა ნაცვალი და დააყენა თავისი კაცი. 1252 წელს ნოვგოროდელებმა გაიგეს რა ახალი აღწერის შესახებ, მოკლეს ალექსანდრეს ნაცვალი და უარი თქვეს აღწერაზე. მაშინ ალექსანდრემ წაიყვანა ურდოს ჩინოვნიკები თავისი პოლკის დაცვის ქვეშ და გაემართა ნოვგოროდისკენ, ალექსანდრემ თვალები დათხარა, ცხვირი და ყურები დააჭრა ნოვგოროდელებს. ამ ფაქტებს აღწერს მატიანე, მაგრამ სდუმს ისტორიის სახელმძღვანელო.

იმისათვის, რომ ნეველის პორტრეტს არც ერთი შტრიხი არ დააკლდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ გამარჯვება ჩუდის ტბაზე საცოდავ ექვსას შვედზე, რომელსაც რუსული მხარე რაოდენობრივად ბევრით სჯობნიდა, არც ისე ბრწყინვალე გამარჯვებაა და ამ სასაზღვრო კონფლიქტის ისტორია ცოტა უფრო სხვაგვარია. დიდი ხნის მანძილზე ჩუდის ტბა ყოფდა ლივონცებს და ფსკოვცებს და მათ შორის სისტემატურად იყო კონფლიქტები. ბევრჯერ ხდებოდა მორიგება იმის შესახებ, თუ ვინ დაიჭერდა თევზს. მატიანე მოგვითხრობს, რომ რუსები და ლივონელები 1461 წელს მორიგდნენ, უკვე მერამდენედ, რომ ორივე მხარე თევზს იჭერს კუთვნილი სანაპიროს გასწვრივ. დღემდე რუსმა ისტორიკოსებმა არ გადმოიტანეს ახალ რუსულ ენაზე მატიანე. ისტორიასაც კი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. იქნებ ეს შეგნებულად კეთდება იმისათვის, რომ ხალხებმა, რომლითაც დღევანდელი რუსეთია დასახლებული, არ იცოდნენ საკუთარი ისტორია?

რა თქმა უნდა, ეს მოლაპარაკებები სისტემატურად ირღვეოდა. ველური ფსკოველი და ნორვეგიელი მუჟიკები წვავდნენ სახლებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ანგრევდნენ ტაძრებს შესაშური რეგულარობით. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი 1242 წელს მოხდა და დღემდე ვერც რუსმა და ვერც უცხოელმა ისტორიკოსმა ვერ გაარკვია, რად მოხდა ეს შეტაკება.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

/გაგრძელება იქნება/

# აღუდგებოდა თუ არა წინ შევარდნაძე კრემლის ჯალათებს?!

მეხუთე გვერდიდან

ქალაქო ომის შეჩერებისათვის და ქვეყნის გამთლიანებისათვის შეეძლო არაორდინარული ნაბიჯის გადადგმა, ეროვნული თანხმობის კოალიციური მთავრობის შექმნის წინადადების დაყენება, და მისი შექმნის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან გადადგომა. შემდგომ დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების შეთანხმებით ახალი საყოველთაო არჩევნების ჩატარება. ეს იქნებოდა ჭეშმარტად მამულიშვილური პოლიტიკა. ამის ნაცვლად რა გაკეთდა? მოხდა სამოქალაქო ომის ესკალაცია და მტრულად განწყობილი ქვეყნის — რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით მეორე პოლიტიკური ძალის დათრგუნვა-განადგურება, რის საშინელ შედეგებს ახლაც ვიმკით.

რაც შეეხება აფხაზეთისა და სამაჩაბლოსათვის გამართულ ომებს, თუ შეიძლება მათ ჩვენი მხრიდან ნამდვილი ომი ეწოდოს, იქ გადამწყვეტ მომენტებში უკან დახევა ხან ელცინის თითის დაქნევას, ხან რუცკოის ტელეფონის მუქარას და ხანაც რომელიმე რუსი გენერლის მრისხანე გამოხედვას დაბრალდა, მაშინ, როცა საქართველოს პოტენციალის სანახევროდ მობილიზების შემთხვევაში, არა მგონია ასე სამარცხვინოდ დამთავრებულიყო ყველაფერი.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ როგორ უნდა დავიჯერო მე, რომ საბჭოთა ტატალიტარიზმის სიმყარის პერიოდში 1978 წელს ბატონი ედუარდი წმინდა გიორგივით ეკვეთა იმპერიულ ურჩხულს და დაიცვა ქართული ენა ფეხით გათელვისაგან. მე უფრო იმის მჯერა, რომ პატრიოტულად განწყობილმა მწერლებმა, ლექტორებმა და სტუდენტმა ახალგაზრდობამ მრავალათასიანი გაბედული გამოსვლა მოაწყვეს ქართული ენის დასაცავად, საბჭოთა მთავრობა კი საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზნით მოერიდა მშვიდობიანი გამოსვლის სასტიკად დარბევას, მითუმეტეს, იმ დროს ამერიკის პრეზიდენტის კარტერის ადმინისტრაციას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სისხლი ჰქონდა გამშრალი საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ 1975 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ჰელსინკის ხელშეკრულებას, სადაც ვალდებულებას იღებდა დაეცვა მის შემადგენლობაში მყოფი ერთა უფლებები. ასე რომ, საერთაშორისო სკანდალად არ უღირდა კრემლს კონსტიტუციის ერთი მუხლის გაჯიუტებული დაცვა, თორემ რომ მოენდომებინა სისხლისღვრა, ის ამას გააკეთებდა, ისევე, როგორც 1956 წლის 9 მარტს. ასეთ შემთხვევაში აღუდგებოდა თუ არა წინ კრემლის ჯალათებს შევარდნაძე, ეს უკვე თითოეული ჩვენთაგანის ამ პიროვნების პოლიტიკური მოღვაწეობასთან დამოკიდებულების საკითხია.

**გია თვალავაძე**



## მსოფლიოს გარშემო

### გერმანელი მინისტრი გმობს...

გერმანიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, იოხენ ბორხერტმა 18 თებერვალს გერმანელ პარლამენტართა ჯგუფს მიჰმართა შემდეგი სიტყვებით:

„ თუ განვითარებად ქვეყანას უნდა თავისი წარმოების სტიმულირება, მან უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება პროტექციონისტულ ღონისძიებათა გატარების შესახებ... იგი ვერ იმუშავებს პროტექციონიზმის გარეშე".

საქართველოს შინაგანი ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ამ სიტყვების წინააღმდეგაა მიმართული. არა თუ პროტექციონიზმი, ანუ საკუთარი მეწარმის დაცვა — 1997 წელს სახელმწიფომ უხარისხო ხორბალი საზღვარგარეთ შეისყიდა უფრო ძვირად, ვიდრე ქართველი გლეხები სთავაზობდნენ ხარისხიან ხორბალს კახეთში 1997 წლის კარგი მოსავლის წყალობით.

### ორი „ფეტვა" ამერიკელების წინააღმდეგ

ორი მუსლიმანური რელიგიური განკარგულება ანუ „ფეტვა" გახდა ამ ცოტა ხნის წინ „სი-აი-ეი"-ის (აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს) მოხსენების საგანი, რომელიც მან წარუდგინა სენატის ქვეკომიტეტს ტერორიზმის საკითხებზე. ამ სააგენტოს ანტიტერორისტული ცენტრის რეფერენდუმში ნათქვამია, რომ ისლამური ჯგუფების კოალიციამ ლონდონში და ტერორისტმა ფინანსისტმა უსამა ბინდადენმა ცალ-ცალკე გამოუშვეს ეს ორი ფეტვა, რომლებიც მოუწოდებენ მორწმუნეებს ამერიკელებზე თავდასხმისაკენ მანამდე, სანამ აშშ შეიარაღებული ძალები არ „დაიხევენ" საუდის არაბეთისა და იერუსალიმიდან. ლონდონური ფეტვა მოითხოვს ერაყის სანქციების მოხსნასაც, მიმორანდუმის თანახმად. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ახალი [illegible] გიურ ინსტრუქციებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თავდასხმის ობიექტები შეიძლება კერძო პირებიც იყონ.

სიახლეა ისიც, რომ ფეტვებს, საუკუნოვანი ტრადიციით, ძალიან მაღალი ავტორიტეტის რელიგიური ინსტანციები სცემენ ხოლმე, როგორიცაა, მაგალითად, წამყვანი მუსლიმანური ქვეყნების ცენტრალური სარწმუნოებრივი ინსტიტუტები, ამ შემთხვევაში კი ფეტვები ასეთი მაღალი ავტორების გარეშეა გამოშვებული.

### რუსეთის ვალები

რუსეთის საგარეო ვალს (56 მილიარდი დოლარი) ნაწილ-ნაწილ მოუდის გადახდის ვადა და სხვადასხვა პროცენტები აქვს. საბიუჯეტო ხელფასთა დავალიანების გასწორებისათვის რუსეთმა ისესხა საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, 800-950 მილიონი დოლარი. ნავთის მსოფლიო ფასების დაცემამ რუსეთი დააზარალა, ვინაიდან მისი ექსპორტის 75% შეადგენს ნავთობპროდუქტები და გაზი. თებერვალში მოსკოვს ჩასულმა სავალუტო ფონდის ჯგუფმა ითხოვა ბიუჯეტის შეკვეცა და უცხო ინტერესებისთვის შეღავათის მიმცემი უპირატესობები დაბეგვრაში.

### აშშ სავაჭრო დეფიციტი

1997 წელს მისი ზომა იყო 113,8 მილიარდი დოლარი, რაც ბოლო ცხრა წლის რეკორდია. იგი მეტი იქნებოდა (198,9 მილიარდი) და, ამგვარად, აბსოლუტურ რეკორდს მიაღწევდა, რომ გვეანგარიშა მხოლოდ ე. წ. „მყარი საქონელი". დეფიციტი შეამცირა 85,2 მილიარდმა დოლარმა, რომელიც ამერიკელებმა მიიღეს მომსახურეობათა გასამრჯელოდ.

### რუსულ-ჩინური ურთიერთობა

მისი ძირითადი მიმართულებები, 17 თებერვალს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების თანახმად (ეკონომიკის დარგში ხუთია): გემთმშენებლობა, ჩინეთისადმი რუსეთის ვალების დარეგულირება, ურთიერთვაჭრობის გაზრდა, რუსეთის მისვლის გაადვილება ჩინეთის სასაზღვრო ქალაქებში, ახალი რკინიგზა, რომელიც საზღვარს გადაკვეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ემიგრაცია

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

## ალექსანდრე გოძიაშვილი (1897-1941)

ალექსანდრე გოძიაშვილი დაიბადა 1897 წელს სანკტ-პეტერბურგში. იგი აღიზარდა თბილისსა და გურჯაანში, სადაც მამამისი ვენახებსა და ღვინის სარდაფებს ფლობდა.

ალ. გოძიაშვილის ოჯახი ზაფხულობით ხშირად იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში; მისი მამა ხომ ღვინით ამარაგებდა მეფის ბიძას — ბრწყინვალე თავადს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. გოძიაშვილები იმპერიის დედაქალაქში ფლობდნენ ღვინის საწყობებსა და სავაჭრო სახლს ნევის პროსპექტზე.

I მსოფლიო ომის დროს ალექსანდრე რუსეთის ბახჩისარაის კავალერიის პოლკში მსახურობდა. ომის ბოლოს გერმანელთა ტყვეობაში მოხვდა. ომის დასრულებისას აღმოჩნდა პოლონეთში, სადაც დაქორწინდა ირინა ქურდვანოვსკაიაზე (მასთან შეეძინება ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი). პოლონეთში ალექსანდრე თავისი სურვილით შედის ერთ-ერთ ცნობილ სამხედრო პოლკში. ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის მას აჯილდოებენ. ომის დამთავრების შემდეგ ალ. გოძიაშვილი ამთავრებს პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ იგი ჯერ მუშაობს როგორც ჟურნალისტი ჟურნალ „სიმართლის ხმაში", ხოლო შემდეგ დაიწყებს სიმამრის საწარმოში მუშაობას, როგორც დირექტორი, ჯერ სიმამრთან ერთად, შემდეგ, სიმამრის გარდაცვალების შემდგომ, დამოუკიდებლად. ალ. გოძიაშვილი ითვლება ვარშავაში ყავის ბარების ერთ-ერთ პირველ დამაარსებლად. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას; კერძოდ, 30-იან წლებში იყო ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე პოლონეთში.

1939 წლის სექტემბრიდან გერმანელებს ემალებოდა და ამის გამო, ხშირად უხდებოდა საკუთარ ბნელ სარდაფში ცხოვრება. ამის შედეგად იგი დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა კიდეც. დაკრძალულია ვარშავის სამხედრო სასაფლაოზე.

ალექსანდრე გოძიაშვილის მთავარ ქმნილებას მიეკუთვნება ნაშრომი: „საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე".

ჩვენს ნაშრომს ვიწყებთ აქამდე სადაო პრობლემით, კერძოდ კი იმით, რომ შეიძლება თუ არა საერთაშორისო სამართალი მივიჩნიოთ სამართლად ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით? როგორც ცნობილია, ბევრი სამართლის ექსპერტი უგულვებელყოფს საერთაშორისო სამართლის სამართლებრივ ხასიათს იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი ნორმების განსახორციელებლად.

ჩვენ არ გვსურს ამ თემაზე კამათის წამოწყება და მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სამართალი არის პოზიტიური სამართალი, ვინაიდან იგი შეიცავს ნორმებს, აღიარებულს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებიან საერთაშორისო საზოგადოებას; ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არასდროს არ აღიარებენ ამას და ცდილობენ თავიდან აიცილონ დანაშაული და პასუხისმგებლობა.

მიგვაჩნია რა, რომ ყოველგვარი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის დამორჩილებული უნდა იყოს სამართალს, ვამტკიცებთ, რომ არა უხეში ძალა, არამედ სამართალი უნდა [illegible] ურთიერთობათა რეგულატორი, ხოლო ყოველგვარი გადახვევა საერთაშორისო სამართლიდან დაგმობილი უნდა იქნეს. ნაშრომის მსვლელობისას ჩვენ ვეყრდნობოდით საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ამ ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულ თემაზე გადასვლისას აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს იმ ძირითადი საკითხის გაშუქება, რომ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, რომელიც პარიზში, ემიგრაციაში იმყოფება, დაკარგა თუ არა თავისი სამართლებრივი ხასიათი; ანუ ეს მთავრობა დარჩა თუ არა de jure საქართველოს მთავრობად და საქართველოს საკითხი ექვემდებარება თუ არა საერთაშორისო სამართალს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო, როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, თუ იგი რუსეთის შიდა საქმეა?

ამ თემის ირგვლივ უკეთესი ორიენტირებისათვის საქართველოს ისტორიიდან მოვიტანთ რამდენიმე საერთაშორისო ხასიათის ფაქტს: საქართველო, რომელიც მაჰმადიანური ქვეყნების, თურქეთის და სპარსეთის მხრიდან განუწყვეტელი თავდასხმების ობიექტს წარმოადგენდა, იძულებული იყო დახმარება საზღვარგარეთ ეძებნა. დასავლეთ ევროპაში იმედგაცრუების შემდეგ, იგი იძულებული შეიქმნა დახმარებისათვის ქრისტიანული რუსეთისათვის მიემართა. ამის შედეგად 1783 წელს დაიდო ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთმა საქართველო თავის პროტექტორატში შეიყვანა და ვალდებულება იკისრა საჭიროების შემთხვევაში მისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა; ამასთან, თავის თავზე აიღო საქართველოს მთლიანობისა და საზღვრების დაურღვევლობაზე ზრუნვა. ტრაქტატის ძალით საქართველოს შიგნით ხელისუფლება ქართველ მეფეთა ხელთ უნდა დარჩენილიყო. ამის სანაცვლოდ საქართველოს რუსეთისათვის უნდა შეეთანხმებინა სამხედრო და საგარეო პოლიტიკა.

სდებდა რა ამ ტრაქტატს, ერეკლე II-ს მიზნად ჰქონდა შეენარჩუნებინა თავისი ხალხისათვის დამოუკიდებლობა და ტრადიციები, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ძლიერი ხალხის სუსტ ხალხზე პროტექტორატის შედეგები, როდესაც ყოველთვის არსებობს ანექსიის დაფარული მიზანი და მართლაც, რუსეთმა არათუ არ შეასრულა თავისი ვალდებულება საქართველოს დაცვის მიმართულებით, არამედ 1787 წელს გაიყვანა თავისი მცირერიცხოვანი, საქართველოს საზღვრების დაცვისათვის განკუთვნილი სამხედრო ნაწილები, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ და სპარსეთის შაჰს ალა-მაჰმად-ხანს მისცა შესაძლებლობა, შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში და გაენადგურებინა იგი (ავტორი აქვე მიუთითებს ერთ-ერთ წყაროს: E. Dillon: "The Eclipse of Russia". London, 1918, str. 225).

მოტანილი ფაქტიდან და აცვეე ზოგიერთი სხვა ფაქტებიდანაც ცხადი ხდება რუსეთის მხრიდან არასაკმარისი პროტექტორატი საქართველოს მიმართ, რომელიც საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის ანულირების საშუალებას აძლევდა. სხვათაშორის Vattel-ი თავის შრომაში „Droit de gens", § 196 ამბობს: „თუ სუსტი სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმართავს ძლიერი სახელმწიფოს პროტექტორატს და დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ აღმოუჩენს დახმარებას ან ვერ შეძლებს დაეხმაროს სუსტ სახელმწიფოს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მფარველი სახელმწიფო კარგავს ყოველგვარ იმ უფლებებს სუსტ სახელმწიფოზე, რომლებიც გათვალისწინებულია ტრაქტატით, და ამდენად ტრაქტატი უკვე ძალადაკარგულად ითვლება. სუსტი სახელმწიფო განთავისუფლებულია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, იგი უკან იბრუნებს ყოველგვარ უფლებებს, თავის დამოუკიდებლობასა და სრულ ძალაუფლებას".

ამავე ნაშრომის § 198-ში Vattel-ი წერს: „ტრაქტატი იმ შემთხვევაშიც ითვლება ძალადაკარგულად, თუ მფარველი სახელმწიფო თავისთვის მოითხოვს უფრო მეტ უფლებასა და სარგებლობას, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ტრაქტატი".

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# ჯერ სიხარულამდე შორია...

სახელმწიფო გალერეაში ქართული ანბანის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს თუ აენთო გზა, დედაენის ძეგლთან კი ცისფერ კოსტიუმებში გამოწყობილ პოლიციასთან შეხმატკბილებულად დამდგარან ყავისფერიანი-პოლიციის აკადემიის, ლურჯფერიან კოსტიუმებში სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომლები, რომლებიც შესაშური ძალითა და ენერგიით შემოსაზღვრულ ზოლს იქით არავის არ უშვებდნენ. გამონაკლისი პრივილიგირებული პირველი არხის ჟურნალისტები იყვნენ. ხალხის შეძახილი: „მოვიდნენ", „მოვიდნენ" და მუსიკის ჰანგზე „განზე გადექ, შენთან ყოფნა მწყურია" კიბეზე გაძლიერებული დაცვით სახელმწიფოს მეთაური, ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი და მთავრობის წევრები ეშვებიან. იგვიანებს ტაში. ვიღაცამ იხუმრა: „ტაშის ფონოგრამა არ არის".

სტუდენტური დღეების ორგანიზატორი, ბ-ნი ნიკო ლეკიშვილი აღნიშნავს, 20 წლის წინათ იმდროინდელი ქვეყნის ხელმძღვანელობის გმირობის ტოლფას ნაბიჯს, რომელმაც თურმე მრავალი წლის შემდეგ მთელი ერის შინაგან არსებაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ლტოლვის ნაპერწკალი აანთო, ამიტომაც, სტუდენტური დღეების 14 აპრილს გახსნა სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ის მაშინდელი ახალგაზრდული ძალების ღვაწლის დაფასებაა.

ისმის სტუდენტური ჰიმნი „Viva academia" - ცისკენ მიიწევს თეთრი ალამი, სიმშვიდის, სიკეთის, სილაღის მაცნე. სცენაზე პანტომიმის თეატრის ახალგაზრდული ჯგუფი (ხელ-ლი ამირან შალიკაშვილი) დახვეწილი პლასტიკით, შენელებული კადრებით 20 წლიანი საქართველოს თანაცხოვრების ბრძოლისა და მშვიდობის სურათებს განასახიერებს. მეგრული სევდიანი სიმღერა, „ვრემიას" მუსიკა, განგაში, ნიკნიკი, დროის სრბოლა, აუხდენელი ნატვრა ლოცვასავით თქმული „ღმერთო, შენ მოეც ამ ბიჭებს, მეორედ მოსვლის უფლება". 1978 წლის ფრაგმენტი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლიდან. ქართული სულიერების და გენეტიკური კოდის თავდაცვითი სიმბოლო ცეკვა „ხორუმი"... წინ პატარა ნიკა ურიგაშვილი მიიწევს, „აი, ბაბუა" და დიდ ბაბუას ბ-ნ ედუარდს იების თაიგულს აწვდის.




პოეტ რეზო ამაშუკელის ლექსის სტრიქონები ... ენა-ხოხბისფერი მიწის, საყრდის ნიშნის, ბოლნისის ლომების, კაბადოკიელი თმის აციაგება. ეს ენაა-მზე, სწორუპოვრება ქართველი კაცისა „აკვნიდან რომ არ ენახა დაღამება დღისა"... საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელას (ხელ-ლი ციცინო ფალავანდიშვილი) სიმღერები... ყველა გამომსვლელის ერთსულოვანი სურვილი „შევინახოთ, დავიცვათ და განვავითაროთ ქართული ენა". ამ ფონზე სიტყვას წარმოსთქვამს საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც დაუფარავი სიხარულით გვამცნობს: „არც ისე მცირე ხნისა ვარ და ყველაზე ნათელი დღე ჩემს ცხოვრებაში 1978 წლის 14 აპრილია. ბედნიერი ვარ იმ ძალის, რომელმაც მათქმევინა, ვითათბირეთ და გადაწყდა ქართული ენა რჩება და ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს". ბ-ნმა სახელმწიფოს მეთაურმა საყვედური გამოთქვა იმ უპასუხისმგებლო დამოუკიდებლობისათვის, რაც გამოიჩინეს იმ დროის ამსახველი ქრონიკების გაუფრთხილებლობისათვის. „კინოქრონიკას თუ არა, კგბ-ს მაინც უნდა შემოენახა", — ბრძანებს ბ-ნი ედუარდი და ამ ნათელ დღეს მიულოცავს სხვა ლოზუნგებით მოსულ ხალხსაც (სხვა ლოზუნგები იქ არ ყოფილა, რადგან იმ ლოზუნგების მატარებელი ხალხი ჰორიზონტზე არ ჩანდა, მოლოდინი სამართალდამცავი ორგანოების მხრივ იყო).

ქვეყნის პირველი პირისგან ისიც გავიგეთ, რომ ახლა თურმე ბედნიერები ვართ, არ არსებობს ურჩხული რუსეთის მხრივ, რუსეთის სახით, რომელიც დაგვიშლის ვილაპარაკოთ მშობლიურ ენაზე. ბატონებო! ის ურჩხული არსებობს, მართალია, ლაპარაკს არ გვიშლის, სამაგიეროდ მიწებს გვართმევს, სადაც ოდითგანვე „ქართულითა ენითა" ლოცვა შეიწირებოდა და განიკითხებოდა ყოველი. ის ურჩხული მონსტრად ქცეულა და წინაპართა ნატერფალი წაშალა, ქართული ტაძრებიდან, ფრესკებიდან ძველ ქართული წარწერები დაუზარებლად წარხოცა.

ჯერ გამარჯვებამდე შორია, ჯერ სიხარულამდეც შორია!

**ლელა ბჟინავა.**

# დავით აღმაშენებლის პარტიის განცხადება

დავით აღმაშენებლის პარტიის წევრები უკიდურესად აღშფოთებულნი ვართ ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანია „კავკასიის" მიმართ დაწყებული დევნა-შევიწროების კამპანიით, უხეშად ირღვევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებები. კატეგორიულად მოვითხოვთ ტელეკომპანია „კავკასიას" შეუნარჩუნდეს მისი კუთვნილი არხი და დაუყოვნებლივ აღიკვეთოს თავისუფალი აზრის დევნის ყველა სხვა შემთხვევები საქართველოში.

წინააღმდეგ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის პარტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ რადიკალურ ზომებს მიმართავს, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ჩვენს მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე უსამართლობა და უკანონობა. ის, ვინც ებრძვის თავისუფალ აზრს, ის ებრძვის ქვეყნის ინტერესებსაც.

**როინ ლიპარტელიანი**

დავით აღმაშენებლის პარტიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

# მსოფლიოს გარშემო

## წყალმცენარე-მკვლელი ხმელთაშუაზღვის კურორტებს ემუქრება

ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე განლაგებულ თურქეთის კურორტებს წყალმცენარე - „მკვლელი" ემუქრება. ზღვის ეს პრიმიტიული მცენარე ჟანგბადის წყალობით სწრაფად მრავლდება და ზღვაში ყველაფერ ცოცხალს ანადგურებს.

პირველად „კაულერპა ტაქსიოლიას" შესახებ ცნობილი გახდა 1984 წელს, როცა იგი მონაკოს ერთ-ერთი ხელოვნური აუზიდან შეცდომით მოხვდა ხმელთაშუა ზღვაში. ამ ზღვაში არსებული ხელსაყრელი პირობების გამო წყალმცენარე სწრაფად გამრავლდა და მალე ესპანეთისა და საფრანგეთის სანაპიროებს მიაღწია.

გასული წლის დასასრულს ეს წყალმცენარე პირველად აღმოაჩინეს თურქეთის სანაპირო ზოლზე. სულ ცოტა ხნის წინ კი მსოფლიოში ცნობილ თურქულ კურორტებზე ქუშადასიში და ბორდუმში წყალმცენარის სახეობა, რომელსაც „ზღვის კიბოს სისმსივნე უწოდეს". ვარაუდობენ, რომ ამ მცენარემ ხმელთაშუა ზღვაში და შემდეგ ეგეოსის ზღვაში სუეცის არხიდან შეაღწია. ადგილობრივი ეკოლოგების ინფორმაციით საშიშროება ემუქრება არამარტო თურქეთს, არამედ ისრაელს, ლიბანს, კვიპროსს, ტუნისს, ეგვიპტეს, საბერძნეთსა და იტალიასაც.

სპეციალისტებმა თურქეთის გარემოს დაცვის მინისტრს ზღვისა და თევზის სარეწი სახეობების გადასარჩენად დაუყოვნებელი ზომების მიღებისაკენ მოუწოდეს და [illegible] ხანებში ამ მიმართულებით მთავრობაში კონკრეტული ღონისძიებების პაკეტის წარდგენას აპირებენ.

## ავღანეთში წყალდიდობამ 30 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მომხდარი წყალდიდობის შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა და ათასობით უსახლკაროდ დარჩა.

პროვინცია ფარიაბში კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარეებმა დატბორეს 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები,- განაცხადა ანტითალიბური კოალიციის ლიდერმა, რომელიც ამ რაიონს აკონტროლებს.

წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 9000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, დაინგრა 2000-მდე საცხოვრებელი სახლი. მდგომარეობა იმითაა გართულებული კიდევ, რომ ამ რაიონში არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი არ იმყოფება. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს რაიონი საბრძოლო მოქმედებების გამო დატოვეს.

## ბოინგის რეპუტაციას საშიშროება შეექმნა

ალმა-ათას აეროპორტში კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია „ეირ კაზახსტანის" Boing-737 200 ტიპის თვითმფრინავმა. ბოინგისათვის ეს ინციდენტი განსაკუთრებით არასასიამოვნო შეიქნა, რადგან აშშ-ის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ნაკლოვანებების მთელი სერიის გამოვლენის ფონზე მოხდა.

FAA-ს კომისიამ 737 მოდელის სამგზავრო თვითმფრინავების წარმოების ტექნოლოგიაში 32 ნაკლოვანება აღმოაჩინა. აშშ-ის სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ეროვნულმა სამმართველომ -ს ურჩია, რაც შეიძლება სასწრაფოდ ჩაატაროს ბოინგის მარკის ფართოფიუზელიანი შორი მაგისტრალის 700 თვითმფრინავის ინსპექცია.

გეა

მეხუთე გვერდიდან

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

დია და არც ახლა აქვეყნებს. ამიტომ — გვაპატიეთ უნდობლობა — იძულებულები ვართ გ. ტაბიძის სიტყვები ვიხმაროთ: „ო, არ მჯერა მე ეს, რაღაც, მომაბეზრე ისევ თავი, და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი."

დასკვნა ნათელია: განზრახული ცვლილება საწვავის დაბეგვრაში სხვა არა არის რა თუ არ „გზების გაუმჯობესების" და „საპენსიო უზრუნველყოფის" გაუმჯობესების საბაბით მოსახლეობის ყველაზე უფრო ფართო და ყველაზე უფრო გაჭირვებული მასისათვის ახალი ფინანსური ტვირთის აკიდების საშუალება. ეს მცდელობა სავსებით კანონზომიერია და ისტორიულად გარდუვალია (იგი კვლავ და კვლავ განმეორდება, სანამ არსებული ხელისუფლება ადგილზეა). ვინაიდან — როგორც უკვე აღვნიშნეთ „კომენტართა" ამ სერიაში — **სახელმწიფოს კომუნისტურ-მაფიოზური კომბინირებული წესით მმართველ გუნდს ისტორიისათვის კარგად ცნობილი ორი დაუძლეველი ტენდენცია აქვთ: რაოდენობრივი მოთხოვნილების ზრდისა (ახალ-ახა**



**ლი ადამიანების ჩაბმისა მასში) ერთის მხრივ და სამომხმარებლო მოთხოვნილების („მადის") ზრდისა მეორეს მხრივ.**

პრეზიდენტი პირველად უთმობს ასეთ ხაზგასმულ ყურადღებას მეწარმეთა კლასს და მსმენელს იმედს უნერგავს, რომ საქართველოში დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო ე. წ. „საშუალო კლასის" შექმნისთვის ხელის შეწყობის პოლიტიკა. იგი ამბობს: დღეს მეწარმეები და საწარმოთა, სავაჭრო ობიექტთა მფლობელები ძირითადი ძალაა. ბიუჯეტის შემოსავლის 82 პროცენტი უკვე ამ ადამიანებზე მოდის, ესე იგი, ისინი ქვეყნის ხერხემალი გახდნენ. ამიტომ მეწარმეებთან მუშაობას მე, როგორც პრეზიდენტი, ასევე ჩემი კოლეგები განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, რათა მათ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი.

პრეზიდენტი ამავე კონტექსტში მსჯელობს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური მოქმედების შესახებ. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის ეს მსჯელობაც ან უსაფუძვლო ოპტიმიზმის გამომხატველია, ან, უბრალოდ, არასწორი ინფორმაციის მოწოდებისთვისაა გამიზნული. როგორც არაერთხელ ვთქვით უკვე ჩვენს „კომენტარებში", სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი ეკონომიკური მონოპოლიური დანაშაულებრივი გაერთიანების ანუ მაფიების არსებობა „დემოკრატიაზე" და საბაზრო ეკონომიკაზე იძულებითად ორიენტირებული ნეოკომუნისტური მმართველობის თვით არსს შეადგენს. მასთან ბრძოლა დღევანდელი ტიპის ხელისუფლებას არც უნდა და არც შეუძლია, ვინაიდან ეს მმართველი ელიტის იმ **ერთადერთი** ტიპის ინტერესთა ხელყოფას ნიშნავს, რომელიც შესაძლებელია ჰყავდეს ამ ხელისუფლებას: მარტოოდენ ანგარებიანი მოტივებით შეკრული ჯგუფისა, რომელიც მზადაა ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმუშაოს. „პრივატიზაციაში", რომლის შედეგადაც დღევანდელი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი — სახელმწიფო საწარმოთა ამჟამინდელი მფლობელების ვიწრო ფენა — შეიქმნა, გადამწყვეტი როლი აქვს ნათამაშევი წინასწარ გარიგებას 1991-92 წლების გადატრიალების მომწყობთა და კომუნისტური „მარცხენა" ეკონომიკის მაგნატებს შორის, რომლის თანახმადაც მათ მიერ საქართველოს ეკონომიკის ახლებური წესით ხელთგდების მექანიზმი იყო განსაზღვრული. ბევრი მათგანის ავტომატიანი „მოღვაწეობა" თბილისის ქუჩებში გადატრიალების დროს და მის ახლო ხანებში მრავალს ახსოვს.

**შემატკივარი**

ქართული ემიგრაცია

# საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

მეშვიდე გვერდიდან

თავისი სუსტი სამხედრო ძალის გამო საქართველოს არ შეეძლო ესარგებლა იმ უფლებებით, რომლებიც გამომდინარეობდა რუსეთის მხრიდან არასაკმარისი პროტექციიდან ასევე იმის გამოც, რომ რუსეთი გამუდმებით ახალ-ახალ უფლებებსა და სარგებლობას მოითხოვდა. ამავე მიზეზით მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა 1801 წლის აქტს, რომლის ძალითაც რუსეთმა უგულვებელჰყო წინა შეთანხმება, მოახდინა საქართველოს ანექსირება და გადააქცია იგი თავის ერთ-ერთ გუბერნიად. ამ აქტმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ძალების უპირატესობას ეფუძნებოდა, ქართველი ხალხის დიდი პროტესტი გამოიწვია, ხალხისა, რომელსაც წაართვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელსაც უყვარდა თავისუფლება და გრძნობდა, რომ სამართლიანობა მის მხარეზე იყო. საქართველოს არასოდეს უარყვია აზრი განთავისუფლების თაობაზე, მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა. ჩვენ არ შევჩერდებით ამ ბრძოლაზე ქართველი ხალხისა, რომელმაც დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა და რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ებრძოდა რუსეთს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო გადააქცია გუბერნიად და ცდილობდა წაეშალა ეთნიკური განსხვავებები, გაენადგურებინა ქართული კულტურა და პატრიოტიზმი, მაგრამ იარაღითა და ძალადობით მან ვერ შეძლო ჩაეკლა ქართველი ხალხის სული.

ქართველ ხალხს თავისი ბრძოლა არ შემოუფარგლავს მხოლოდ თავისი სახელმწიფოს შიგნით, არამედ იგი აგიტაციისა და პროპაგანდის გზით გადაიტანა ევროპაში. 1856 წელს ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი, ქართველი ხალხის წარმომადგენელთა მცდელობების პასუხად, შეჰპირდნენ მათ, რომ აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი დახმარებას არ გაუწევდა რუსეთს. საფრანგეთის წარმომადგენელი, გრაფი მეფროი, 1855 წლის დეკემბერში წერდა: „ჩვენ თქვენ დაგეხმარებით დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ევროპას სურს, რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზებული ხალხების დიდ ოჯახში". ბოლოს, 1907 წელს საქართველომ ჰააგაში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას გაუგზავნა პეტიცია, რომლითაც კონფერენციას აცნობდა თავის უფლებებს და რუსეთს ბრალს სდებდა იმაში, რომ მან დაარღვია ტრაქტატის მოთხოვნები. მაგრამ იმდროინდელი არაშესაფერისი პოლიტიკური კონიუქტურის გამო ეს საქმე ვერ მოგვარდა.

გაჩაღდა მსოფლიო ომი, რევოლუცია, ბოლშევიკური გადატრიალება, რის შედეგადაც კავკასიის ხალხები გამოეყვნენ რუსეთს და შექმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია, 1917 წელს. 1918 წლის 9 აპრილს ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის ძალით თურქეთს დაუბრუნდა ტერიტორიები, რომლებიც მას წაართვა რუსეთმა 1828 წლის ანდრიანოპოლის ტრაქტატით. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ბრესტის ტრაქტატის მოთხოვნების აღიარება არ ეწადა და ამის შედეგად წამოიწყო თურქეთთან ომი, რომლის დასრულების შემდეგაც რამდენიმე კონფერენცია მოეწყო. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოუტანია, რადგან ახლა თავად ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის მოხდა ინტერესთა დაპირისპირება. ყოველივე ამის შემდეგ მოხდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაშლა.

1918 წლის 26 მაისს, 117 წლის მონობის შემდეგ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა შემდეგი აქტით:

1. ქართველი ხალხი არის უმაღლესი უფლებების წყარო; საქართველო კი არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

2. საქართველოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საერთაშორისო კონფლიქტებში საქართველო ყოველთვის ნეიტრალური რჩება.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს მყარი მეგობრული ურთიერთობები ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან.

5. საქართველოს რესპუბლიკა გარანტიას აძლევს ყველა ხალხებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, რომ პატივს სცემს მათ ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებრივი მრწამსისა, სოციალური მდგომარეობისა თუ სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აძლევს მის ტერიტორიაზე დასახლებულ ყველა ხალხებს განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

7. კონსტიტუციური მთავრობის დანიშვნამდე ქვეყანას წარუძღვება საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაც დაკომპლექტებული იქნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობით, და ასევე დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოს წინაშე.

ამ აქტმა საქართველოს მიანიჭა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლება და საქართველო გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ანალიზი საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი სამართლის თვალსაზრისით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ფაქტიური მდგომარეობა პასუხობდა ამ სამართლის ყველა მოთხოვნებს, სახელდობრ:

1. სახელმწიფო ფლობდა ტერიტორიას, რომელიც დასახლებული იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი ხალხით;

2. მთავრობა არჩეული იყო ხალხიდან;

3. მთავრობას ჰქონდა ავტორიტეტი და ფლობდა სრულ ხელისუფლებას;

4. მთავრობა იყო რეალური, რადგან ხალხი აძლევდა მას ჯარისკაცებს, იხდიდა გადასახადებს და მხარს უჭერდა მთავრობის ნებისმიერ წამოწყებებს.

პროფ. იულიან მაკოვსკი წერს: „გარდა კარდინალური პირობისა, რომ ახალი სახელმწიფო წარმოიქმნას თავისით, როგორც ქმნილება თავისი მოქალაქეების ნებისა და ფლობდეს სრულ დამოუკიდებლობას, არის აგრეთვე მრავალი სხვა პირობა, რომელთაც პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათი აქვთ; ყველა ესენი ნამდვილად აუცილებელი არ არის, რომ სახელმწიფო წარმოიქმნას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც საჭიროა, რომ იყოს მისი არსებობისა და განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე". თუ ამ კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ საქართველოსთან დაკავშირებით, არ გაგვიჭირდება, დავამტკიცოთ, რომ არსებობდა ყველა აუცილებელი პირობა, ისეთები, როგორებიცაა: ბუნებრივი საზღვრები, ზღვაზე გასასვლელი და ნორმალური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ქართველი ხალხი თავის ნებას გამოხატავდა პარლამენტში; მან აირჩია მთავრობა, რომელიც სარგებლობდა თავისი ძირითადი უფლებებითა და მოვალეობებით და შეუდგა სახელმწიფოს კონსოლიდაციას. მთავრობას სურდა რა დაეყენებინა საქართველო ევროპულ სახელმწიფოთა შორის, შეიმუშავა კონსტიტუცია, შექმნა არმია, რომელიც გმირულად იბრძოდა და იცავდა ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას, დადო მრავალი ხელშეკრულება.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს შემდგომ ანალიზს საფუძვლად დავუდებთ საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრინციპებს. ახლა შევუდგეთ ახალ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მთლიანობას de facto-დ და de jure-დ ძველი სახელმწიფოების მიერ, ასევე მათ შორის ურთიერთობის ანალიზს.

პოლონურიდან თარგმნა **ამბროსი გრიშიკაშვილმა**

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# მეცნიერები მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ

საქართველოში „ვინ-ვისიანის" პრინციპების კვლევა-ძიებითა და სენსაციური „აღმოჩენებით" ველარავის გააკვირვებ, მაგრამ რაც დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ხდება, როგორც თავად ბრალმდებელნი და ბრალდებულნიც აცხადებენ, უპრეცენდენტოა. აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთ ნაწილს, კერძოდ, პროფესორ ბახვა გამყრელიძის შვიდკაციან ჯგუფს მთაწმინდის რაიონის სასამართლოში შეტანილი აქვს საჩივარი ამავე ინსტიტუტის ადმინისტრაციისა და მეცნიერებათა აკადემიის მიმართ.

ისტორიკოსთა პრობლემებთან დაკავშირებით დანიშნულ კონფერენციაზე რამდენიმე წუთის დაგვიანებით მივედი, მაგრამ დარბაზის ნაცვლად, ინსტიტუტის ფოიეში აღშფოთებულ პროფესორთა და პრესის მუშაკთა მცირერიცხოვან წრეში აღმოვჩნდი. როგორც გაირკვა, ლონისძიების ჩაშლის მიზნით იმ დარბაზში ხელოვნურად მოწვეული სამეცნიერო საბჭო გაემართათ.

როგორც შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ, გიგა ფრიდონაშვილმა განმიმარტა, აქციის საფუძველი გახდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ადმინისტრაციის ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება. კერძოდ ის, რომ მან სრულიად უკანონოდ თავის თანამშრომლებს, მაღალი კატეგორიის მეცნიერებს შარშან მინიჭებული გრანტები წელს უკან წაართვა.

ერთია, რომ გრანტების ჩამორთმევის დამადასტურებელი არგუმენტი არ არსებობს, რადგან თემები, რომელთაც ეს მეცნიერები ამუშავებდნენ, მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია; მეორე — ისინი გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კერძო პირებს თავიანთი შეხედულებისამებრ განაწილების უფლება არა აქვთ.

განაწყენების მიზეზი პროფესორთა მიერ ინსტიტუტში ად-



მინისტრაციის მოუქნელი მუშაობისა და მეცნიერებათა აკადემიაში არსებული ხარვეზების მხილება გახდა.

1997 წლის 2 აპრილს მიღებული კანონის თანახმად, პროფკავშირებს უფლება აქვთ მოითხოვონ საჭიროების შემთხვევაში სათავსი და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია უფასოდ დააკმაყოფილოს იგი. ჩვენ ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, სამი დღით ადრე წერილობით ვაცნობეთ ინსტიტუტის დირექციას, — განმიმარტა შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ. იმის შიშმა, რომ პრესის საშუალებით საზოგადოებისათვის ცნობილი არ გახდეს სიმართლე, გამოიწვია ის, რომ დღევანდელმა კონფერენციამ პრაქტიკულად მიტინგის სახე მიიღო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: ჯიბო ლომაშვილის თავმჯდომარეობით და არსებობის გაურკვეველი წყაროებით, ფუნქციას ასრულებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ადგილობრივი პროფკავშირი. ადამიანებს, რომელთაც შევიწროება განიცადეს, იგი არაფრით დაეხმარა, ამიტომ გახდნენ იძულებულნი დაზარალებულებს შრომის ფედერაციისათვის მიემართათ. საინტერესოა ისიც, რომ ჯიბო ლომაშვილი გრანტის მფლობელიც არის.

ამ საქმეში ათი პროცენტია ჩემი, ოთხმოცდაათი კი — საზოგადოების. ხალხმა უნდა დაინახოს, რა ხდება ქართულ მეცნიერებასა და ისტორიკოსთა წრეში — დასძინა ბ-ნმა გურამ ყორანაშვილმა.

როგორც დამპირდნენ, უახლოეს მომავალში სასამართლო გაარკვევს გრანტებდაკარგულ პროფესორთა ბედს. ... ერთი საათის განმავლობაში სააქტო დარბაზის კარს მიღმა შეკრებილთა მხრიდან კი ჩქამიც არ ისმოდა...

**ხათუნა ხატიაშვილი**

# შეწყდეს მოქალაქეების დევნა-შევიწროება პოლიტიკური შეხედულებების გამო...

საქართველოში პერმანენტულად და მასობრივად, უხეშად ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები და ძირითადი თავისუფლებანი, როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ასპექტში. ჩვენი ასოციაცია ერთადერთია, რომელიც აფიქსირებს და საჯაროდ გმობს პოლიტიკური დევნის ფაქტებს ქვეყანაში. ტოტალური დარღვევების ფონზე მთლიანად პასუხისმგებლობა ეკისრება ამჟამად გამეფებულ მმართველ პარტიას — მოქალაქეთა კავშირს. ფაქტიურად საქართველოში მძვინვარებს ე. შევარდნაძის ერთპარტიული დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ნათლად ასახავს დღევანდელ ჩვენს ყოფას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: თბილისში გლდანის რ-ნში ცეკავშირის ფირმა „მეგობრობის" მე-17-ე მაღაზიის გამგედ მუშაობდა ტარიელ ლომინაშვილი. ამავე ფირმა „მეგობრობის" დირექტორი არის გლდანის რ-ნის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე გივი ბახტაძე. ერთი წლის განმავლობაში ლომინაშვილი პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის გამო განიცდის სისტემატურ დევნა-შევიწროებას მოქალაქეთა კავშირის და კერძოდ, ბახტაძის მხრიდან. რაიონული მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე მაღაზიის გამგეს ულტიმატუმს უყენებდა, რომ გამხდარიყო მოქ-კავშირის წევრი და ყოველთვის გაეღო შეწირულობები მოქ-კავშირის სასარგებლოდ ფულადი სახსრებით. აღნიშნული დროის მანძილზე სხვადასხვა მეთოდებით ავიწროებდნენ ლომინაშვილს და რომ ვერაფერს გახდნენ, ბოლოს ბახტაძემ თვითნებურად მე-17-ე მაღაზიიდან გაიტანა სხვადასხვა სახის საქონელი, რაც კანონმდებლობის შესაბამისად მას ამის უფლება არ ჰქონდა და მაღაზია დალუქა. ამის შემდეგ ბუნებრივია ტ. ლომინაშვილი უმუშევრად დარჩა. აღნიშნული პიროვნების მიმართ დარღვეულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მთელი რიგი მუხლები, რაც შეწყნარების ფაქტს წარმოადგენს.

ჩვენი ორგანიზაცია დაბეჯითებით მოითხოვს შეწყდეს მოქ. ტ. ლომინაშვილის დევნა-შევიწროება და აღდგენილ იქნას კანონიერი უფლებები, რომელიც შელახულია მოქალაქეთა კავშირის მიერ.

**გიორგი კერვალიშვილი** სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი

# საქართველოს ნეოკომუნისტური რეჟიმი არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს

მეორე გვერდიდან

— ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სპეციალური ინსტრუქცია უნდა იქნეს შემუშავებული და აიკრძალოს რუსთაველის გამზირის გადაკეტვა.

**— თქვენის აზრით, ეწინააღმდეგება თუ არა ეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს?**

— უპირველეს ყოვლისა ეს ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის აქტებს, ასევე მათ მიერვე მიღებულ კონსტიტუციასაც. მიტინგები და დემონსტრაციები, ნებისმირ ცივილიზებულ ქვეყანაში სწორედ დედაქალაქის ცენტრალურ ადგილებში ტარდება და არა ტყეებში და პარკებში, რადგან მათი მთავარი დანიშნულება სწორედ ის გახლავთ, რომ ზემოქმედება მოახდინონ ხელისუფლებაზე. რაც შეეხება შევარდნაძის განცხადებას, თვით ე. წ. ალლუმების გადატანაზე, ჩემი აზრი ასეთია-კი ბატონო, თუ გინდათ კუკიის ტყეში მიბრძანდით. ქართველ ხალხს აქვს იმის მორალური და იურიდიული უფლება, გამოვიდეს რუსთაველის პროსპექტზე და მით უმეტეს ცხრა აპრილს. ეს არის ის ადგილი, სადაც დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი, ეს არის ის თარილი, რომელმაც წარმოშვა თავისუფლება, შევარდნაძემ კი ეს ადგილი ჩაკეტილ სივრცედ გამოაცხადა. ხელისუფლებას ეშინია ხალხის ქუჩაში გამოსვლის, თუ არა შევარდნაძეს საქართველოს ბედი არ აწუხებს. ტერიტორიები გაასხვისეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩააბარეს თვით მათივე ხელმოწერილი ხელშეკრულებებით. ეხლა რუსთაველის პროსპექტის ბედი აინტერსებთ?! მას ეშინია ქართველობა ქუჩაში არ გამოვიდეს, მართალი სიტყვა არ თქვას და საბოლოოდ „ვერდიქტი“ არ გამოუტანოს.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველო ევროსაბჭოში გაწევრიანების ღირსი არაა. ბევრს ჰგონია, რადგან ექსპერტები ჩამოვიდნენ, საქმეც გადაწყვეტილია. თქვენ როგორ გესახებათ, რამდენად განხორციელებადია ეს „ოცნება“?**

— ჯერჯერობით ეს საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბატონმა დელეგაციის მეთაურმა კარგად თქვა, რომ არ შეიძლება გადაწყვეტილება გამოიტანო მანამ, სანამ ფაქტებს არ შეაჯერებო. მოკლედ, მანდ იმდენი ნიუანსებია, არა მგონია საქართველო გააწევრიანონ. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში ისევ მძვინვარებს პროვინციული კომუნისტური მაფია. მე მაქვს უამრავი მასალები, თუ როგორაა ხალხი გაუბედურებული ქუთაისში, კახეთში და თითქმის ყველა კუთხეში. რეგიონებში არ არსებობს არჩეული თვითმმართველობის ორგანოები. ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ვიფიქრო საქართველოს ევროსაბჭოში არმიღებაზე.



**— ბატონო გიორგი, ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სადარაჯოზე დგას. გამომდინარე აქედან, თუ ევროსაბჭოს ექსპერტები მართლაც დაინტერესებული არიან იმით, თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოში, პირველად თქვენ უნდა შეგხვედროდნენ. იქნებ საერთოდ არაა გათვალისწინებული თქვენთან შეხვედრა?**

— საერთოდ გეგმაშიც არ ვართ. ჩვენს მთავრობას როგორც სურს, ყველაფერს ისე აკეთებს. შეხვედრით კი შეახვედრეს ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. მაგრამ ესენი ცრუ ფსევდოოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ, რაც შევარდნაძეს აწყობდა, მაგრამ ეს ჩვენთვის დიდი ტრაგედია არაა, რადგან ჩემი მოხსენება ამ საკითხებთან დაკავშირებით უკვე ევროპარლამენტში დევს. ერთი კია, რომ ოფიციოზები ყოველ ღონეს ხმარობენ, საპატიო სტუმრებს არ შეახვედრონ მათთვის არასასურველი პირები, რაც მე საერთოდ არ მაკვირვებს.

**— როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად პოლიციელები არღვევენ ადამიანის უფლებებს. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— დიახ, პოლიციელების მხრიდან ადგილი აქვს წამების გაუგონარ ფაქტებს. მე ხელთ მაქვს ინფორმაცია, რომ ქუთაისში ამა წლის 17 მარტს დაპატიმრებული იქნა მერაბ აფშილავა, რომლის მიმართ უსასტიკეს წამებას აქვს ადგილი. აიძულებენ აღიაროს დანაშაული, მაგრამ მართალი კაცია და არ იძლევა ჩვენებას. ასევე დევნიან მის მეგობარ გიზო ფურცვანიძეს. ისინი ქუთაისის სამხარეო პოლიციაში ჰყავდათ. პოლიციის უფროსის მიერ ადგილი აქვს მოწმეებზე ზეწოლის ფაქტებს, ემუქრებიან ოჯახის დანარჩენ წევრებსაც, მე ამ საკითხზე პრესკონფერენციასაც მოვიწვევ.

მე მოვუწოდებ პოლიციას შეწყვიტოს მოქალაქეების წამება! აქვე გეტყვით, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ და-

გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

# გვჭირდება თუ არა „კოკა-კოლას“ ქვეფილიალი აფხაზეთში?

გახსოვთ ალბათ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ვაიხელისუფლების არძინბას სისხლიან რეჟიმთან შეხვედრაზე ბატონმა სახელმწიფო მდივანმა ნიკო ლეკიშვილმა ფირმა „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელი თემურ ჭყონიაც თან გაიყოლა, რომელმაც თუ დიდი ვერაფერი შესძინა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებას, მონატრებული აფხაზეთის წალკოტისათვის თვალის შევლება ხომ მაინც შერჩა.

თემურ ჭყონიას აფხაზეთში გასეირნება ყურადღების გარეშე დარჩებოდა, რომ არა ამ ფაქტის უკან არსებული ნიუანსების სამთავრობო ტელეარხის მიერ გაშუქება, კერძოდ, ითქვა, რომ „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობას და უნდა ვიგულისხმოთ, ნიკო ლეკიშვილის მთავრობასაც, თუ გავითვალისწინებთ „კოკა-კოლას“ ფირმასთან სახელმწიფო მდივნის სისხლხორცეულ სიახლოვეს, ჩაფიქრებული ჰქონიათ სეპარატისტულ აფხაზეთში ამერიკული „კოკა-კოლას“ ქართული ფილიალის აფხაზური ქვეფილიალის გახსნა. ერთი მხრივ, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადება, ხოლო მეორე მხრივ, ვთქვათ, სოხუმში თბილისის ფირმის მიერ „კოკა-კოლას“ ქარხნის აშენების სურვილი დიდ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან და „ხელი გაიქნია ფეხს“ ემსგავსება, მაგრამ ამ იდეას, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე პარლამენტში იგი ბოლომდე გააშავა ოპოზიციამ, ბატონი თემურ ჭყონია დღესაც მხარს უჭერს და მის მამულიშვილობაში ვინმეს ეჭვი რომ არ შეეპაროს, რომელიც საბედნიეროდ ჯერ კიდევ ფასობს სამთავრობო კლანებში, აცხადებს, რომ ეს სულაც არ ნიშნავს სხვაზე ნაკლებ პატრიოტობას, პირიქით, მიმაჩნია, რომ ეკონომიკური ურთიერთობები კონფლიქტის მოგვარებას აუცილებლად შეუწყობს ხელსო. (იხ. გაზ. „ახალი თაობა“, 12 აპრილი, 1998 წ. გვ. 5)

შეიძლება ადამიანი რაღაცაში ცდებოდეს, რაიმე რთულ საკითხში ვერ გაერკვეს, დაიბნეს ბოლოს და ბოლოს, მაგრამ, როცა შავზე ამბობს თეთრიაო, მაშინ უკვე, ღმერთო შეგვინდე და ცოტა სხვანაირი ეჭვები ჩნდება.



თუკი ბატონი თემურ ჭყონია ამჟამად „კოკა-კოლას“ ქარხანას ააგებს აფხაზეთში, თუკი ბატონი გოგი თოფაძე ქართული ლუდის ჩამოსხმას დაიწყებს იმავე აფხაზეთში, თუკი საქართველოს რკინიგზა გაიხსნება აფხაზეთის მიწაზე, თუკი საქართველოს სანაოსნო და საჰაერო ხაზები რეისებს დანიშნავენ აფხაზეთის მიწა-წყალზე, მე ის ვიცი, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ასეთ შემთხვევაშიც არ აპირებს თავისი მიტაცებული სუვერენიტეტის და კანონმდებლობის დათმობას, მაშასადამე, აფხაზეთში ეს ეკონომიკური ურთიერთობები აფხაზური კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ქართული მხარე აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის იმავე რუსეთს და სხვა ქვეყნებს ოფიციალური ეკონომიკური ურთიერთობები გაშალონ აფხაზეთში, აღადგინონ მისი მოშლილი ინფრასტრუქტურა და საბოლოო ჯამში გააძლიერონ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა. ეს კი საბოლოო ჯამში აფხაზეთის უიმედოდ დაკარგვას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელისუფლების მიერ ამგვარი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში იმედგადაწურული, შიმშილის ზღვრამდე მისული ლტოლვილების უმრავლესობა დაბრუნდება თავის მშობლიურ კუთხეში, იძულებული გახდება აღიაროს სეპარატისტული აფხაზეთის მოქალაქეობა და ჩადგეს მის სამსახურში, რასაც, სამწუხაროდ, გამონაკლისის სახით ამჟამადაც აქვს ადგილი.

აი, ამის შემდგომ კი, სტაბილური, ეკონომიკურად განვითარებული, გარეგნული ნიშნით დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მქონე (იგულისხმება არჩევნების ჩატარება — გ. თ.) აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს გალაშქრებას მსოფლიო თანამეგობრობა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი არ დაუშვებს, თუმცა ისტორიული სამართლიანობა საქართველოს მხარეს იქნება. ყოველ შემთხვევაში, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ, მაშინ საქართველოს ბევრად მეტად გაუჭირდება აფხაზეთის დაბრუნება, ვიდრე ამჟამად. და თუ ის განხორციელდა, მისი განმხორციელებლები იქნებიან დამნაშავენი, რომელნიც ღაღადებენ, რომ აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობები კონფლიქტის მოგვარებას აუცილებლად შეუწყობს ხელსო. ზემოთ თქმულიდან სადაო არ უნდა იყოს, რომ კონფლიქტის მოგვარებას აუცილებლად შეუწყობს ხელს, მაგრამ ვის სასარგებლოდ, საკითხავი აქ უკვე არაფერია.

**გია თვალავაძე**

# მოსამართლეთა უმრავლესობას თავისი ჩრდილის ეშინია

1996 წლის 29 ოქტომბერს, წალკის რაიონში მცხოვრებ სონია აჯამალოვას თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს 48 წლის ქალბატონი. 1996 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ 152-ე მუხლით, ყაჩაღობა ბინაში შეღწევით, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. 1997 წლის 2 დეკემბერს უზენაეს სასამართლოში სამ განსასჯელს: ოვჩიევს, მუსტაფაევს და გურჯიევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

1997 წლის 2 დეკემბრის განჩინებით უზენაესი სასამართლო ბრალდებულების ელიზან მამიშევისა და სახიბ იმანოვის საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქართველოს პროკურატურას დაუბრუნებს, რომელიც თავის მხრივ გადაუგზავნის წალკის რაიონის პროკურორს გრიშა ხერიანოვს.

უზენაესმა სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა შემოწმდეს მამიშევის ალიბი, ვინაიდან მასზე აღინიშნებოდა ფიზიკური ზემოქმედების, წამების კვალი. ვიდეოფირის ჩვენებისას ბრალდებულმა მამიშევმა ამოიცნო პოლიციის თანამშრომლები, უშუალოდ ის პირები, რომლებმაც მის წამებაში მიიღეს მონაწილეობა. კერძოდ, წალკის მაშინდელი სამძებროს უფროსი გრიშა სავლიევი, სათვალეებიანი ლუკა. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორმა სიმონ მაჭავარიანმა დაიქვემდებარა მამიშევის საქმე და ყოფილი წალკის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის გრიშა სავლიევისა და სხვა ამოუცნობ პირთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ბრალდებულ მამიშევის მიმართ გამოყენებულია ელექტროდენი, მას დაზიანებული აქვს თავის ფუძე, გადატეხილი აქვს მარცხენა ფეხის ტერფი, დაძრობილია ფეხის 8 თითის და ხელის ერთი თითის ფრჩხილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი წამებიდან წელიწადი და 3 თვე გავიდა, მარცხენა ფეხის მუხლის თავზე შეხორცებული ნაიარევი შავად გამოიყურება. მამიშევის განცხადებით პოლიციის თანამშრომლებმა ის შამპანურის ბოთლზე დასვეს. ამჟამადაც აღენიშნება სწორი ნაწლავიდან მცირე რაოდენობით სისხლის დენა.

საგულისხმოა, რომ 1996 წლის 29 ოქტომბერს, როცა მოქალაქე სონია აჯამალოვაზე თავდასხმა მოხდა, ბრალდებულ მამიშევის ვაჟიშვილს წინდაცვეთა (ნათლობა) ჰქონდა და ის სტუმრებს მასპინძლობდა. მამიშევის დაპატიმრების მოტივი მისი საბარგო ავტომანქანა ხდება. თავდამსხმელები საოჯახო ნივთების გადატანას ხელით ვერ შესძლებდნენო და ჩვენი „პროფესიონალი“ პოლიციელები მამიშევს მიადგნენ, რადგან ახლომახლო მანქანა მის გარდა არავის ჰყავდა. როგორც გამოირკვა, ელხან მამიშევი და სახიბ იმანოვი განსასჯელებს საერთოდ არ იცნობდნენ.

მიუხედავად იმისა, მამიშევის საქმეს სასამართლოს პერსპექტივა არ ჰქონდა მტკიცებულობის არქონის გამო, ნაწამები კაცის უკანონო პატიმრობა 12 აპრილამდე გრძელდებოდა. 12 მარტს მამიშევის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი რუსთავის სასამართლოს წინაშე დააყენებს საქმეს მამიშევის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე. საქმე მაინც ჭიანურდება. რატომ? როგორც ადვოკატმა ზ. როსტიაშვილმა განაცხადა, „მოსამართლეების უმრავლესობას თავიანთი ჩრდილის ეშინიათ“. 12 აპრილს ბრალდებულებს მამიშევსა და იმანოვს აღმკვეთი ღონისძიებით ათავისუფლებენ, საქართველოს სისხლის სამართლის მე-5 მუხლის მეორე პუნქტით უდანაშაულობის არქონის გამო. საკითხავია, ჯანმრთელობაშერყეულ, ფიზიკურად და სულიერად განადგურებულ მამიშევს ვინ აუნაზღაურებს მატერიალურ და მორალურ ზარალს?

**ლელა ბჟინავა**

SPORT სპორტის სამყარო SPORT

# კალათბურთის ფედერაცია აბობოქრდა

რაც საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატის ფლეი-ოფების მატჩში მოხდა, უფრო სწორად „დინამო“ — „ვითას“ თამაში და თამაშის შემდეგ, ყველანაირ საზღვრებს სცილდება. ამ გუნდების მეორე განმეორებითი მატჩის დროს მსაჯმა თამაში გააჩერა და ლევან მოსეშვილს („დინამოს“ მწვრთნელი) ტექნიკური ჯარიმა მისცა. ამით გამწარებული შენგელია მიეჭრა მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თითქოს ინციდენტი ამოწურულად უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ თამაშის დამთავრების შემდეგ შენგელია საცემრად გამოეკიდა მსაჯს. საბედნიეროდ იგი მოედანზევე შეაჩერეს, სამაგიეროდ ხოშტარიამ გამოილო ხელი და ტრიბუნაზე გაქცეულ მსაჯს დაედევნა. ალბათ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა, მაყურებელთა ერთ ნაწილს მსაჯი რომ გაეტარებინა. მათ გზა გადაულობეს ისედაც შეშინებულ კაცს და ამით ცუდი სამსახური გაუწიეს თავიანთი გუნდის მოთამაშეებს.



ამ ინციდენტის შემდეგ იქვე სპორტის სასახლეში შეკრებილმა ფედერაციის თანამშრომლებმა თავისი ვერდიქტი გამოუტანეს კალათბურთელებს. სეზონის ბოლომდე აუკრძალეს შენგელიასა და ხოშტარიას თამაშის უფლება და ზედ ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაციაც დაამატეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ფედერაციამ ახლიდან განიხილა ინციდენტი და განაჩენიც საკმაოდ მკაცრი გამოიტანა. შენგელიას სამუდამოდ აეკრძალა საქართველოს ჩემპიონატში და ნაკრებში თამაშის უფლება. „დინამოს“ კი პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

აქვე შეიძლებოდა ამ შემთხვევაზე საუბრის დასრულება, ერთი გარემოება რომ არა. ალბათ ფედერაციის თანამშრომლებს ადრევე მართებდათ მკაცრი სასჯელების გამოტანა იმ უამრავ დარღვევებზე, რაც ჩემპიონატის მსვლელობის დროს წლების მანძილზე ხდებოდა. მათ რომ დროზე მოეხდინათ რეაგირება სხვადასხვა დანაშაულებებზე, ეს ინციდენტი არ მოხდებოდა. ახლა კი, ჯოხი შენგელიაზე გადატყდა და ისეთი კალათბურთელის მოკვეთა ჩვენი კალათბურთიდან, როგორიც შენგელიაა, უთუოდ ცუდად წაადგება ჩვენს კალათბურთს.

# ხელბურთელებიც იწყებენ

*საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მცირე ხნის შემდეგ ევროპაში აპირებს გამგზავრებას საწვრთნელ შეკრებაზე. შეკრება რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი და მეტად სასარგებლო ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ შევხვდით და გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების პრეს ცენტრის უფროსს, ლევან სალუქვაძეს.*

— წელს ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში გვიწევს მონაწილეობა და ეს შეკრებაც სწორედ ამ სამზადისისთვის არის გამიზნული. თავდაპირველად მაკედონიაში ვაპირებთ გამგზავრებას, სადაც სამიდან რვა მაისამდე ძალიან წარმომადგენლობით ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. აქ ჩვენთან ერთად მაკედონიის, იუგოსლავიის, ეგვიპტის, საუდის არაბეთის და პოლონეთის ნაკრები გუნდები გამოვლენ. თავადაც მოგეხსენებათ, იუგოსლავიის ნაკრები ტრადიციულად მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთა რიცხვს მიეკუთვნება. ეგვიპტელები კი მსოფლიოს ჩემპიონები არიან ახალგაზრდათა შორის, მაგრამ ამ ფეხბურთელებმა უკვე გადააბიჯეს ასაკობრივ ზღვარს და ჩვენც სწორედ მათთან მოგვიწევს თამაში. ასევე კარგად გამოიყურება მაკედონიაც. ერთი სიტყვით ეს შეხვედრები ჩვენს ნაკრებს დიდ სარგებლობას მოუტანს.

— **ამის შემდეგ თბილისში დაბრუნდებით?**

— რა თქმა უნდა, არა. ამის შემდეგ ჩვენ შეკრებას სერბსკაში განვაგრძობთ. სერბსკა ახლად წარმოქმნილი სამართლებრივი სუბიექტია, რომელიც ძირითადად მართლმადიდებლებით არის დასახლებული. იგი სულ ახლახანს გამოეყო ბოსნია-ჰერცოგოვინას. სერბსკას წარმომადგენლები იუგოსლავიურ ხელბურთში ყოველთვის წამყვან პოზიციებზე იდგნენ და მათ ოლიმპიური ჩემპიონებიც მრავლად ჰყავთ. სწორედ სერბსკას ნაკრებთან გავმართავთ ორ ამხანაგურ მატჩს. სხვათა შორის, ამ წლის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონი, „შევარდენი“ ეთამაშა სერბსკას უძლიერეს გუნდს, ბანია ლუკას „ბორაცი“-ს და დაამარცხა, ანგარიშით 32-29. თუმცა სერბსკას ხელბურთელები სხვადასხვა ქვეყნების კლუბებში თამაშობენ და მათი ნაკრები „ბორაცი“-ზე გაცილებით ძლიერი იქნება.

სერბსკადან ბელგრადისკენ გავემართებით და იქ ჩავატარებთ რამდენიმე საინტერესო ამხანაგურ მატჩს იუგოსლავიის უძლიერეს გუნდებთან. ესენი არიან: „იუგოპლასტიკა“, „ცრვენა ზვეზდა“, „პარტიზანი“ და „პროლეტარი“.

შეკრების დასკვნით ნაწილს კი თბილისში გავმართავთ, სადაც 1 ივნისს ჩამოვალთ. აქაც დაგეგმილი გვაქვს ოთხი ამხანაგური მატჩის ჩატარება რუსეთის ერთ-ერთ გუნდთან. სავარაუდოა, რომ ეს იქნება კრასნოდარის „სკიფი“.

— **საუბრის დასაწყისში მსოფლიოს ჩემპიონატი ახსენეთ. როდის ჩატარდება იგი და ვინ იქნება ჩვენი მეტოქე საკვალიფიკაციო ეტაპზე?**

— მსოფლიოს ჩემპიონატი ამ წლის დასასრულს ჩატარდება ეგვიპტეში. ჩვენი მეტოქე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი. 7 ივნისს ჩატარდება კენჭისყრა და ეს საკითხი ამის შემდეგ გაირკვევა. მაგრამ უკვე ვიცით, რომ ეს ხუთი გუნდიდან ერთ-ერთი იქნება. ესენი არიან: საბერძნეთი, თურქეთი, ბელორუსი, ფინეთი და ავსტრია.

— **თქვენი აზრით, რომელი მეტოქეა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი?**

— ბელორუსი აშკარად უარესი ვარიანტია. მათი სკოლა ყოფილ საბჭოთა კავშირშიც კი ერთ-ერთი უძლიერესი იყო და ასეა ახლაც. ბელორუსებს ძალიან ძლიერი ლეგიონერები და მშვენიერი ნაკრები ჰყავთ. შედარებით სუსტი, მაგრამ მაინც არასასურველი მოწინააღმდეგეები არიან საბერძნეთი და თურქეთი. სპორტის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ამ ქვეყანაში სტუმრობა და თამაში. ფინეთი და ავსტრია კი ჩვენთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტებად შეიძლება ჩავთვალოთ.

— **როდის გაიმართება საკვალიფიკაციო ეტაპი?**

— საკვალიფიკაციო ეტაპი ორი მატჩისაგან შედგება: შინ და გასვლაზე. ისინი 24 და 27 ივნისს ჩატარდება.

— **გვაქვს კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი?**

— ვთვლი, რომ გვაქვს. ამისათვის ძალებს არავინ იშურებს. თუნდაც ერთ ფაქტს მოვიყვან მაგალითისათვის. საქართველოს ჩემპიონობას ერთმანეთს „შევარდენი“ და „მამული“ ეცილებოდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში „შევარდენმა“ სძლია მეტოქეს, ანგარიშით 53:24 და ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველობის ბოლომდე ორი ტური იყო დარჩენილი, „შევარდენი“ ჩემპიონატიდან გაათავისუფლეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნაკრების ბირთვს ამ გუნდის ხელბურთელები შეადგენდნენ და ის საწვრთნელი შეკრება, რომელზეც ზევით ვისაუბრეთ, არაფრისგადამწყვეტი ორი მატჩის თამაშზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ესეც არ იყოს, მინდა ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ზაზა დოლიძის სიტყვებიც დავიმოწმო, რომლის თანახმადაც უკვე მომწიფდა ის დრო, რომ ქართველმა ხელბურთელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიონ.

# ევროპის თასების მიმოხილვა

### ჩემპიონთა ლიგა

ევროპის თასების გათამაშება ფინიშის სწორზე გავიდა. დღევანდელმა გათამაშებამ ბევრი ინტრიგა შემატა საფეხბურთო სამყაროს, თუნდაც კიევის „დინამოს“ მეოთხედფინალში გასვლა რად ღირს. ასე ღირსეულად, თავდაჯერებულად და რაც მთავარია დიდი ამბიციებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებიდან არავინ არ გასულა ასეთი მაღალი ადგილებისათვის მებრძოლთა ჯგუფში. სამწუხაროდ, შემდეგმა თამაშებმა დაგვანახა, რომ კიევის „დინამოსათვის“ ჯერ ადრეა ასეთი რანგის გათამაშებაში მაღალი ადგილის დაკავება.

მეოთხედფინალში კიევის დინამოს ტურნირის უეჭველო ფავორიტი ტურინის „იუვენტუსი“ შეხვდა. სიმართლე ითქვას, კიეველების გასვლაზე დიდ იმედებს უკრაინელებიც ამყარებდნენ, მაგრამ ტურინში ნათამაშევი ფრეს შემდეგ, თანაც მეტოქის მოედანზე გატანილი ბურთის წყალობით, უკრაინელებს ილუზიები შეექმნათ მათი გუნდის სიძლიერეზე. „იუვენტუსმა“ განმეორებით მატჩში ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. მათ უკვე მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოუთავეს საქმე „დინამოს“ და კიეველთა სუპერგუნდის ილუზია ერთ მატჩში დაიმსხვრა. აქვე მინდა აღვნიშნო, კიეველთა გუნდი ძალზე პერსპექტიულია და მომავალში თუ ასე გაგრძელდა, „დინამოს“ სახით ევროპას მართლაც სუპერგუნდი მოევლინება.

დანარჩენ მეტოქეებზე ბევრის თქმა ალბათ საჭირო არ არის, რამეთუ ფავორიტებმა ეს ეტაპი პრობლემების გარეშე გადალახეს და უპრიანი იქნება პირდაპირ ნახევარფინალების მატჩები განვიხილოთ.

კენჭისყრამ გუნდები სამართლიანად გაანაწილა. „იუვენტუსს“ „მონაკო“ ერგო, ხოლო მეორე წყვილს „რეალი“ — „ბორუსია“ (დ) წარმოადგენდა.

პირველი მატჩები თასის ფავორიტებმა დამაჯერებლად ითამაშეს და შესაბამისად „იუვენტუსმა“ 4:1 დაამარცხა „მონაკო“. „რეალი“ კი 2:0-ს დასჯერდა „ბორუსიასთან“ მატჩში.



„იუვენტუსი“ წყნარად შეიძლება ყოფილიყო. განმეორებით მატჩში მონაკო სამი ბურთის გამტანი ნამდვილად არ იყო და თამაშიც აუღელვებლად დაიწყო. ამ თავდაჯერებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და პირველი გოლიც მათ გაიტანეს. რამდენიმე წუთში „მონაკომ“ აღადგინა თანაფარდობა, თუმცა მატჩს ეტყობოდა, „იუვენტუსი“ რომ ფლობდა თამაშის სადავეებს. არაფრის გულისთვის ამ შანსს იგი ხელიდან არ გაუშვებდა. მეორე ტაიმში მაყურებელმა უფრო ბევრი ბურთი ნახა გატანილი, რითაც მათ დიდი სიამოვნება მიიღეს, მატჩი კი მონაკოს გამარჯვებით დასრულდა 3:2. მონაკოელთა სამწუხაროდ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად.



მეორე ნახევარფინალურ წყვილში გოლი არ გასულა. სამაგიეროდ სანახაობრივად თამაში ლამაზი გამოდგა. მატჩი ბოლო წუთებამდე დაძაბულად მიმდინარეობდა. ყველა „ბორუსიის“ შტურმს ელოდა. სამწუხაროდ, „დორტმუნდელებმა“ ეს ვერ მოახერხეს. პირველ რიგში ამაში „რეალის“ დაცვაა დამნაშავე. მისი კაპიტნის იეროს თავკაცობით მათ ყველა გზები გადაკეტეს საჯარიმოში შესასვლელად და „ბორუსია“ შორიდან დარტყმების იმედზეღა დარჩა. მაგრამ იმ დღეს „რეალის“ გერმანელი მეკარე კეპკე თავდაჯერებულად ირჯებოდა.

### უეფას თასი

რომის „ლაციოსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ დუელი ყველაზე საინტერესო გამოდგა. მადრიდში „ლაციომ“ ერთი ბურთი გაუტანა „ატლეტიკოს“ და სახლში გულდამშვიდებული დაბრუნდა. თუმცა განმეორებითმა მატჩმა გვიჩვენა, რომ დასამშვიდებელი „ლაციოს“ არაფერი ჰქონდა. რომში მადრიდელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს მასპინძლებს. მათ ხომ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შველოდათ საერთო ანგარიშის გასაყამებლად. მადრიდელთა სამწუხაროდ მათ ეს ვერ შეძლეს და „ლაციო“ ფინალში გავიდა. მათ მეტოქეს კი „ინტერი“ — „სპარტაკის“ განმეორებითი მატჩი გამოარკვევდა.

რუსები დიდ იმედებითა და არანაკლები ამბიციებით ჩავიდნენ მილანში. მათ ხომ ამ მატჩამდე ამსტერდამის „აიაქსი“ გამოთიშეს ტურნირიდან და საკმაო თავდაჯერებითაც. რუსებს ილუზიები შეექმნათ „სპარტაკის“ ევროპის დონის გუნდად შექმნის შესახებ. სამწუხაროდ ამაში „ინტერიც“ დაეხმარა. „ინტერმა“ სათანადოდ ვერ შეაფასა „სპარტაკი“ და პირველ მატჩში ბოლო წუთებზე გამოგლიჯა გამარჯვება მეტოქეს. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენში ხუმრობდნენ, რუსები განმეორებითი მატჩისთვის მოსკოვში თოვლსა და ყინვას მოიყვანენო. ყველაფერი ისე აგიხდათ, როგორც ეს წინასწარმეტყველება ახდა. მე არ ვიცი, რუსებს შეუძლიათ თუ არა ამინდის შეკვეთა, მაგრამ „ინტერი“ რომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეს ფაქტია. მოსკოვში ჩასულ მილანელებს საკმაოდ დიდი თოვლი დახვდათ. ვარჯიშებიც მათ ჩვენთვის კარგად ნაცნობ მანეჟში ჩაატარეს. რაც მილანელთათვის ცუდი, დათვური სამსახური უნდა ყოფილიყო. თვითონ მატჩის გამართვის ადგილი თამაშამდე 4 საათით ადრე გაირკვა. რუსებმა, როგორც მათ ჩვევიათ ხოლმე, სამხედროების დახმარებით თოვლისაგან გაწმინდეს მოედანი, ზედ ნახერხი მოაყარეს და საფეხბურთო მოედნის მაგივრად დიდი ტლაპო მიიღეს. ეს მატჩი რუსეთის არხზე ვნახე. რასაც რუსი კომენტატორები იძახდნენ, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ჩვენ ქართველები მიჩვეულები ვართ მათ, ასე ვთქვათ, უაზრო განცხადებებს, მაგრამ იტალიელებისა და რუსების ერთნაირ პირობებში ჩაყენების ილუზია, უკვე მეტისმეტი იყო.

მატჩის დასაწყისში სპარტაკი“ აქტიურობდა, ცხადად ჩანდა, რომ მილანელებს ძალზედ უჭირდათ ამ ტალახში თამაში. სამაგიეროდ გორლუკოვიჩი და მისნაირი ფეხბურთელები მშვენივრად გრძნობდნენ თავს და პირველი ბურთიც მატჩის დებიუტში გავიდა. „სპარტაკს“ კიდევ შეეძლო რამდენიმე გოლის გატანა, მაგრამ მათი სათამაშო დონე ამის საშუალებას არ იძლეოდა.

მილანელები ნელ-ნელა შეეჩვივნენ ასეთ მოედანს, და მატჩის სადავეებიც ხელთ იგდეს. სულ უფრო და უფრო ხშირად აწუხებდნენ სპარტაკელთა გოლკიპერს ფილიმონოვს. მაგრამ მათ მთავარ ძალას ხომ რონალდო წარმოადგენდა. სამწუხაროდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოს ყველაზე უვარგის მოედანზე (თუ შეიძლება მას მოედანი ეწოდოს) თამაშობდა, ამიტომ მას ძალზე გაუჭირდა თავისი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლინება. თუმცა, მისმა მაღალმა კლასმა მაინც თავისი საქმე გააკეთა და ტაიმებში თითო ბურთი გაუტანა მეტოქეს. ამით რონალდომ „სპარტაკი“ თავის ადგილზე მოსვა. პირველი ბურთი რონალდომ რამდენიმე რკოშეტის შემდეგ შეაგდო



და „სპარტაკის“ ფეხბურთელებს მოგების ილუზიები დაუცხრო. მეორე ტაიმის შუა წელში მან რამდენიმე კედლის გათამაშების შემდეგ, როგორც სჩვევია, ინდივიდუალურად შეაღწია საჯარიმოში და ფილიმონოვს შანსი არ დაუტოვა. შეიძლება ითქვას, რომ რონალდომ გააკეთა ის, რაც „აიაქსის“ მთელმა გუნდმა ვერ შეძლო.

### თასების თასი

„ლოკომოტივი“ — „შტუტგარტი“
0 1

„ჩელსი“ — „ვიჩენცა“
3 1

# არქიტექტურა ცხოვრებისმიერია

თანამედროვე არქიტექტურა ჩვენი კულტურული ცხოვრების მეტისმეტად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს. თანამედროვე არქიტექტურის მრავალსახეობა და მრავალგვარობა, შეიძლება ითქვას, რომ საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ფორმათა ეს მრავალსახეობა უთუოდ კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი იმ გარდატეხითაა გამოწვეული, რომლის მოწმეებიც ვართ.

თანამედროვე არქიტექტურისათვის ფრიად დამახასიათებელია, რომ მისი მახასიათებელი არქიტექტურული პრინციპები არ წარმოადგენდნენ ადგილობრივ, ლოკალურ მოვლენას, თუმცა არ გამორიცხავს შემოქმედებითი უნარის ადგილობრივი, ლოკალური ნიშნების გამოვლენას. არქიტექტურა იმდენად ცხოვრებისმიერია, იმდენად დაკავშირებულია თანამედროვე ცხოვრების პირობებთან და თანამედროვე კულტურასთან, რომ ისინი უნივერსალურ ხასიათს იძენენ ყველა ქვეყანაში და არქიტექტურული საშუალებებით აშენებენ ახალ არქიტექტურულ კულტურას.

თანამედროვე არქიტექტურის საფუძველი ჩვენს თანამედროვეობაშია. თანამედროვე ცხოვრების ფორმები კი იმდენად შეცვლილია, იმდენად გამდიდრდა კულტურული ცხოვრებისადმი გაზრდილი მოთხოვნილებების გამო, რომ არქიტექტურასაც არ შეეძლო არ გამოევლინა თავისი ალმავლობის ნიშნები. თანამედროვე არქიტექტურა ცდილობს ყოველი მხრით მიუახლოვდეს ჩვენი თანამედროვეობის მოთხოვნებს, სახელდობრ, არქიტექტურული ფორმების ძირითადი ელემენტებისადმი მოთხოვნებსაც.

ყოველი ხელოვნება, კერძოდ კი არქიტექტურაც, მაშინაა „სიცოცხლისუნარიანი", თუკი იგი ორ ძირითად ელემენტს აკმაყოფილებს: 1) არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციური მნიშვნელობა ე. ი. ადამიანთა ცხოვრების რა ფუნქციებს ასრულებს იგი; 2) არქიტექტურის ფორმალური მხარე — ე. ი. რიგორი [illegible] ქიტექტურული ფორმებითაა იგი გამოხატული.

არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციური მხარე გამოიხატება ცხოვრების მოცემული წესის მოთხოვნილებათა, ადამიანის მდგომარეობის დაკმაყოფილებაში. ამიტომაც, არქიტექტურა საზოგადოებრივი წესრიგის მარეგულირებელ ერთ მნიშვნელოვან აპარატს წარმოადგენს.

თანამედროვე არქიტექტურაში დღეს რომ წამყვანი დასავლეთ ევროპაა, ეს უკვე უდაოა. თბილისის არქიტექტურა, რომელიც ყოველთვის დასავლურ-აღმოსავლურ არქიტექტურულ ფორმათა სინთეზს ქმნიდა, ახლა მკვეთრად დასავლურისკენ მიდის. ამის ნათელი დადასტურებაა არქიტექტორ დავით მახარობლიშვილის ნამუშევრები, რომელთა მაკეტების გამოფენა მოეწყო 15 აპრილს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში. მის ყველა ნამუშევარში ნაგებობის გარეგნულ სახესთან ერთად, დიდი დაინტერესებაა შიდა სტრუქტურითაც.





დამთვალიერებლისთვის თვალში იყო საცემი არქიტექტურულ ნაგებობათა, არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვნება. თვით არქიტექტორი ამას დამკვეთის გემოვნების მიხედვით ხსნის. დ. მ. ... „არქიტექტორი ვალდებულია პირველ რიგში გაითვალისწინოს ის სურვილები, რაც დამკვეთს გააჩნია. ცოტა ხნის წინ ჩვენ საუბარი გვქონდა იმაზე, რომ დღეს დამკვეთი გახდა კერძო სექტორი, ამიტომ რასაც ის გვიკვეთავს, ის უნდა გახდეს ჩემთვის კანონი. დამკვეთს უნდა თანამედროვე, უნდა დავაპროექტო თანამედროვე; თუკი დამკვეთს უნდა კლასიკური, ან თუნდაც ბაროკო, ცხადია მე უნდა ვეცადო ის, რასაც მიკვეთავენ, დღევანდელობაში გავატარო და შევქმნა პროექტი"...

დღეს თბილისში რაღაც ქაოსურ არქიტექტურას ვხვდებით. თუ აქამდე არქიტექტურა გარკვეულ ჩარჩოებში და ნორმებში იყო ჩაკეტილი სახელმწიფო მოთხოვნებიდან გამომდინარე, დღეს იგი თავისუფალია და გარკვეული ეკლექტიზმის ნიშნებით შემოდის. ახალი და ძველი არქიტექტურა ცოტა არ იყოს დაუგეგმავად ირევა ერთმანეთში. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მარჯანიშვილის ქუჩაზე ძველი მრავალსართულიანი ნაგებობის გვერდით იგივე დავით მახარობლიშვილის მიერ დაპროექტებული დახვეწილი არქიტექტურული ნაგებობა. კითხვაზე, თუ როგორ ეგუება ასეთ შეუსაბამობას, მან საკმაოდ მოკრძალებულად თქვა: „მე არცერთ შემთხვევაში არ ვაყენებ შეურაცხყოფას მის ავტორებს, რადგან ეს არის დაპროექტებული იმ დროს, როდესაც სულ სხვა მოთხოვნები იყო და სულ სხვა ინდუსტრიასთან იყო დაკავშირებული, იქაც კი ცდილობდნენ და მეც მათ შორის ვცდილობდი იმ ნორმებში, იმ კონსტრუქციებში რაღაც შეგვექმნა. ის რაც მის გვერდით დგას და ჩემი გაკეთებულია, როგორც თქვენ იძახით — მოგწონთ, შეიძლება მოსაწონია, მაგრამ იმის გამო, რომ გვერდით ლანდშაფტი არ უწყობს ხელს, არავითარ შემთხვევაში არ მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ მისი მსგავსი რამ შევქმნა. მე მირჩევნია ეს კონტრასტი იყოს, რომ უფრო კარგად დავინახოთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ალბათ მერე მოვა დრო და თვალი ამასაც შეეჩვევა. ყველაფერი თანდათან მაინც შეეწყობა ცხოვრებაში"...

ბევრჯერ გაგვიგია, რომ თბილისის ცას არ შეესაბამება მრავალსართულიანი სახლები.

... „მე წინააღმდეგი ვარ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისა. ათი-თორმეტი წლის წინ ჩავატარეთ კვლევა და ჩვენმა რესპოდენტებმა, ფაქტიურად 92 პროცენტმა სამი სართულის ზევით ცხოვრებაზე უარი განაცხადეს. ყოველ შემთხვევაში მათ სურვილი ჰქონდათ ეცხოვრათ მეორე, მესამე სართულზე. ჩემი დამოკიდებულება ის არის, რომ თბილისი არც ამხელა არ უნდა გამხდარიყო (გლდანი, დიდი დიღომი, თემქა და ა. შ.). ეს ალბათ არ იყო სწორი პოზიცია. ამით ჩვენ მოვსპეთ, როგორც ქალაქის ფილტვები, ისე ქალაქის მარანი და დღეს ჩვენი ბაზარი (შეიძლება არ არის მოსატანი, მაგრამ) სულ სხვა კატეგორიამ დაიკავა.

მრავალსართულიანი ნაგებობა შეიძლება იყოს საქმიანი დაწესებულებები, მაგრამ საცხოვრებელი ალბათ სჯობია კოტეჯური ტიპის"...

რუსთაველის პროსპექტთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ არქიტექტორმა განაცხადა:

„რუსთაველის პროსპექტზე რაიმე ცვლილებას არც ხალხი დაუშვებს და არც არქიტექტორთა საზოგადოება მიიღებს ამას. მე არაფერი ინფორმაცია არ მაქვს. ვიცი მხოლოდ ყურისმოკვრით, რომ რომელიღაც ფირმამ სურვილი გამოთქვა კურირება გაეწია ამ პროექტისთვის. მაგრამ ამას ჯერ ერთი დიდი სახსრები სჭირდება, მეორეც, რუსთაველზე იმდენი კომუნიკაციებია, ეს ძალიან დიდ ცვლილებებს გამოიწვევს. არ ვიცი, შეიძლება რაიმე გენიალური ჩანაფიქრი აქვთ. ყოველ შემთხვევაში მე არაფერი არ ვიცი. ისე კი, სჯობს, თანხა იმ არაჩვეულებრივი ნაგებობების რესტავრაცია-რეკონსტრუქციას მოხმარდეს, რაც რუსთაველის გამზირზე დგას"...

გმადლობთ საუბრისთვის და ვისურვებდი, რომ კვლავაც მრავალჯერ შემდგარიყოს ასეთი ესთეტიკურად დახვეწილი არქიტექტურულ ნაგებობათა მაკეტების გამოფენები.

**ნათია ბახტაძე**

# საქართველოს ნეოკომუნისტური რეჟიმი არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს

მეცხრე გვერდიდან

პატიმრებული ყვარლის რაიონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე გივი იორამაშვილი. იგი რუსეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს ქალაქ ნოვოსიბირსკში ა. წ. 10 იანვარს. მისმა ახლობლებმა არ იციან, ცოცხალია თუ მკვდარი ეს კაცი. ნოვოსიბირსკის პოლიციის უფროსი კი აცხადებს, ეს საქართველოს ხელისუფლების დავალება იყოო. რა თქმა უნდა, დაპატიმრებას პოლიტიკური მოტივი უდევს. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ დამედასტურებინა, თუ რა უსამართლო და ყოვლად გაუმართლებელ ქმედებას აქვს ადგილი სამართალდამცავების მხრიდან. გამომდინარე აქედან, საქართველო არ არის ღირსი გახდეს ევროსაბჭოს წევრი.

— **რას გვეტყვით სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და თვით სახალხო დამცველის პიროვნების შესახებ?**

— ეს ინსტიტუტი ევროპულია და ძალიან კარგიცაა. იგი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ეს გახდება მარაზმი. თუმცა გაეროს კომისიაც რომ შექმნა, ისიც იგივენაირად ჩადგება შევარდნაძის სამსახურში, როგორც სახალხო დამცველი. მე დავით სალარიძეს პოლიციის გენერალ-მაიორს კი არა, საბჭოთა მილიციის გენერალ-მაიორს, არა სახალხო დამცველს, არამედ შევარდნაძის რეჟიმის დამცველს დავარქმევდი.

რაც შეეხება სალარიძის განცხადებას, თითქოს მე ბოიკოტი გამოვუცხადე ევროპულ სტრუქტურებს, რა თქმა უნდა, დეზინფორმაციაა, პირიქით, მე ძალიან ვაფასებ მათ მუშაობას და რომ არა ისინი, გაცილებით მეტი იქნებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ყოველთვის ვითანამშრომლებ ამ ორგანიზაციებთან, მაგრამ შევარდნაძის რეჟიმის დამცველთან არაფერი მესაქმება.

მე მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან შევეკითხო ბატონ სალარიძეს. ცხრა აპრილის მშვიდობიანი მომიტინგეები რომ დაარბიეს, ეხლაც როდიონოვისა და პოლიტბიუროს ბრძანება ხომ არ იყო, ხმა რატომ არ ამოიღეთ? რატომ არაფერს ამბობთ იმის შესახებ, რომ საქართველოს საპყრობილეები გავსებულია პოლიტპატიმრებითა და სინდისის ტუსაღებით?

სახალხო დამცველი მოქკავშირმა კი არ უნდა დანიშნოს, არამედ ხალხმა უნდა აირჩიოს. ამის შემდეგ იქნება იგი სწორედ მოქალაქეების ინტერესების დამცველი.

ესაუბრა
**კობა კაპანაძე.**

# კრიმინალური ქრონიკა

## უბედური შემთხვევა!

13 აპრილს, 11 საათზე სოფ. ყარაჯალაში ავტომანქანა ვაზ-21011, რომელსაც მართავდა მფლობელი, ამავე სოფელში მცხოვრები 41 წლის ზალიკო ალიევი, დაეჯახა ფეხით მოსიარულეებს, დასახელებულ სოფელში მცხოვრებ 57 წლის ბახარ ქარუნ-კზის და 34 წლის სამაია ტურბანოვას. ბახარ ქარუნ-კზი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მძღოლი დაკავებულია.

## ხორცით დაღუპული!

12 აპრილს ქვემო ქართლის შს სამხარეო სამ. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ვაშლოვანში მცხოვრები 39 წლის ელგუჯა ხადურიშვილი, რომელმაც სადახლოს საბაჟოს საგუშაგოს გვერდის ავლით კონტრაბანდული გზით სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გამოიტანა 3820 კილოგრამი უძვლო საქონლის დაფასოებული ხორცი. ნივთმტკიცება ამოღებულია.

## ფალსიფიკატორი!

13 აპრილს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამხარეო სამ. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და ახალქალაქის ეკოლოგიის პოლიციის თანამშრომლებმა ამხილეს ახალქალაქის რაიონის სოფ. ხულგუმოში მცხოვრები, 23 წლის ფელიქს ზაინგარიანი, რომელიც სახლში ამზადებდა ფალსიფიცირებულ არაყს ეტიკეტებით „რუსკაია" და „რუსიან". მისი ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 5 ბოთლი არაყი „რუსკაია" და 1500 ცალი ეტიკეტი. ზაინგარიანი გაშვებულია ხელწერილით.

## მძარცველები!

14 აპრილს გლდანის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ 12 აპრილს დაკავებულმა დავით ნაცვლიშვილმა 6 მარტს გლდანში მცხოვრებ ციცინო თეთრაულს დანის მუქარით გასტაცა ხელჩანთა 200 ლარით.

14 აპრილს ქუთაისის პოლიციელებმა დააკავეს 22 წლის დავით კლდიაშვილი, რომელიც ბაზრობა „თავთავი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, ორ პირთან ერთად ცდილობდა ქუთაისელი გია ბერაიას ავტომანქანის გატაცებას.

14 აპრილს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და თბილისის ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული მასალების რეალიზაციის შედეგად დაადგინეს, რომ სხვა დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულმა ალექსანდრე ხუბულოვმა და ხვიჩა ბერიშვილმა 16 მარტს გაძარცვეს თბილისელი ვლადიმერ ბერიას ბინა, საიდანაც გაიტაცეს საოჯახო ნივთები. ნაძარცვის ნაწილი ამოღებულია.

## კიდევ ერთი ყაჩაღი!

14 აპრილს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციისა და გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს თბილისელი 29 წლის გივი ილურიძე, რომელიც ამჟამად პატიმრობაში მყოფ კობა კობახიძესთან, ჯამბულ ჩოლოიანთან და ავთანდილ თოდაძესთან ერთად 1995 წელს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები თავს დაესხნენ გლდანელ როზა ასლამაზოვას ოჯახს.

## გაქცევა!

14 აპრილს 15-55 საათზე ქსნის №9 სასჯელთა აღმასრულებელ დაწესებულებაში, ყაჩაღობისათვის მსჯავრდებულმა, სამტრედიაში მცხოვრებმა 29 წლის ბენიამინ დგებუაძემ გაქცევის მიზნით გადალახა საკონტროლო-საკვალე ზოლის დამცავი წინაღობა კოშკურიდან, სამხედრო ნაწილის წარმომადგენლის გამაფრთხილებელ გასროლაზე დგებუაძემ მაინც განაგრძო მოძრაობა ძირითადი დამცავი კედლის მიმართულებით, არსებული წესდების მოთხოვნათა შესაბამისად მსჯავრდებულის გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად გახსნილი იქნა ცეცხლი, რის შემდეგაც იგი დაიჭრა.

მსჯავრდებული დგებუაძე დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სასჯელთა აღმასრულებელი დეპარტამენტის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. მიმდინარეობს მოკვლევა.

## 1299 გრამი მარიხუანით დააკავეს!

14 აპრილს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწიმში დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქანის რაიონის სოფელ კობახჩიში მცხოვრები, 28 წლის მაგამედ ახმედოვი, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 1299 გრამი მარიხუანა.

**ხათუნა ნოზაძე**
**შსს პრესცენტრი**

# ც ო ლ ე ბ ი

გამოსაცხობად ოჯახში პურის
ქუჩაში მიდის გუნდებით ცომის
კანონიერი პოეტის ერთის
კანონიერი გამხდარი ცოლი.
კანონიერი ქურდის ცოლია,
ბაზარში ხუთ თავ სულგუნს რომ წონის,
თავი დედოფლის ტოლი ჰგონია,
კანონიერის რომ არის ცოლი.
არის ფუსფუსი, მისვლა და მოსვლა,
გავლებულია საზღვარი მკვეთრი –
ველარ გაარჩევ ყვავსა და მგოსანს,
არეულია შავი და თეთრი.
ფარას წინ უძღვის ის კოჭლი ცხვარი,
მიჩანჩალებდა რომელიც ბოლოს,
დგას ტრიბუნასთან ვიღაც და ცხარობს,
სწავლული ყიდის ქუჩაში ბოლოკს.
შეხვედრა იმის არ არის ძნელი,
მშვიდად რად არის კანონის მცველი, –
ემსახურება მანქანა ორი,
ერთი მისია, მეორე – ცოლის.

ალექსანდრე ტაბატაძე


## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მოიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.





## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36



## ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.

ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;

გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;

ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.

დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!

ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია



## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.



Дока пицца

Doka pizza

94-07-00

| | |
|---|---|
| სოსისით | 2-00 |
| ქათმის ხორცით | 2-50 |
| ვიჩინით | 2-50 |
| სოკოთი | 2-50 |
| ვიჩინით და სოკოთი | 3-00 |

ადგილზე მიტანა 2-00


# კროსვორდი



**თარაზულად:** 5. საქ[illegible] ტრამვაის შემოღებამდე; 6. ქვის ფილა რელიეფური წარწერით ან გამოსახულებით; 7. მოთვალთვალე, ჯაშუში (ძველქართული სიტყვა); 8. კახეთში გავრცელებული ვაზის ჯიში; 10. უსწავლელი ანუ... 12. ლითონი; 13. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი (მეკარე); 17. ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი; 18. არჩევნების ჩათვლა არანამდვილად და მათი გაუქმება კონსტიტუციის ან საარჩევნო კანონის დარღვევის გამო; 19. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში (არაბობის დროს); 20. ყოველთვის, ნიადაგ... 21. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 24. მდინარე რაჭაში; 25. ქალაქი სამხრეთ ინდოეთში; 26. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 27. ბრალდებულის დამნაშავეობა-უდანაშაულობის დადგენა ბარბაროსული ხერხებით (შუა საუკუნეებში); 30. ქაობის ორთქლი; 31. სისველეს მოკლებული, მშრალი... 32. ქარი, რომელიც დღისით ზღვიდან ხმელეთისკენ ქრის, ღამით კი ხმელეთიდან ზღვისაკენ; 33. ლითონსაჭრელი მრავალკბილიანი იარაღი.

**შვეულად:** 1. ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელსაც გალაკტიონმა ქებათა ქება მიუძღვნა; 2. პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების ერთ-ერთი პერიოდი; 3. ბუდისტების მღვდელი ან მონაზონი იაპონიასა და ჩინეთში; 4. საქორწილო საჩუქარი, სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირთმეული; 9. დრამატული ნაწარმოები; 11. ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი წევრი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი; 14. რაც სინამდვილეს განზრახ დამახინჯებულად წარმოადგენს; 15. ჩრდილო ამერიკის ინდიელ ტომთა ჯგუფი; 16. საბუთი, რომელიც რისამე მიღების ნებართვას იძლევა; 22. უკიდურეს შეხედულებათა და ზომათა მომხრეობა; 23. სუნამო, ოდეკოლონი, კრემები... ერთობლივ; 28. პერსონაჟი მოთხრობისა „გლახის ნაამბობი“; 29. ზანგთა სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა.


## განიკურნეთ ბუნებრივი საშუალებებით

ხალხური მედიცინის საშუალებით ვმკურნალობ შემდეგ დაავადებებს: ფსორიაზს, დიაბეტს, სამწვერა ნერვის ანთებას, კუჭის წყლულს, ამერონიას, შიდა ქალის წნევას, ჰიპერტონიას, სკლეროზს, თირკმელების რევმატიზმს, ასთმას, ცისტიტს, ეგზემას, პროსტატიტს, სოკოვან დაავადებებს, ტუბერკულოზს, თმის ცვენას, სმენის დაქვეითებას, პლევრიტს, სიყვითლეს, კლიმაქსს, ნევროზს, ეპილეფსიას, თავის ტკივილებს, გაიმორიტს, უშვილობას, ჩიყვს, ბუასილს და სხვა. მკურნალობა ხდება მხოლოდ ბალახებით, ეფექტი გარანტირებულია.

დაგვიკავშირდით ტელეფონით: 66-65-12 ნანა 52-16-67 ნინო.


შპს „დისკავერი“, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მიერ № 7/4-386 26 ივლისიდან 1996 წ., აცხადებს ლიკვიდაციას პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

შპს დირექცია

პაატა დავითაშვილს ვულოცავთ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს. ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია


## ბინები

იყიდება კერძო ბინა ოთხოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით, 100 კვ. მ., არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მის: კარგარეთელის 2ა ტელ.: 95-79-46 ქეთო.

იყიდება ან იცვლება 4 ოთახიანი ბინა თუხარელის პროექტის, ვაჟა ფშაველას მე-5 კვარტალი, მე-14 სართული ან იცვლება 1-2 ოთახიან ბინებზე (ან მაღაზიაზე) პირველ სართულზე. სასურველია ქალაქის ცენტრში. ტელ.: 39-26-39.

იყიდება ჩეხური 2-ოთახიანი კუთხის გარემონტებული ბინა რკინის კარებით, ჩამონტაჟებული კარადებით, ტელეფონით, სარდაფით, საშრობით, რკინის ავტოფარეხით. მე-6 მკ., მე-8 სართულზე. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 68-82-09.

იყიდება სამ ოთახიანი „ხრუშოვკა“ ხუთსართულიანის პირველ სართულზე კოსმეტიკური რემონტით, რკინის კარებით. ტელ.: 30-34-03. ფასი 14000 დოლარი. მის: ვაჟა ფშაველას მე-6 კვარტ., მე-18 კორპ., ბინა 1.

იყიდება სასწრაფოდ ქუთაისში კერძო სახლი, ეზოთი, ბელეტაჟი. ფასი 7000 დოლარი. ტელ.: 37-54-10 ნანული, 38-47-15 ლეილა, ქუთაისში 7-69-64 ვიოლა.

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. კინო „საქართველოსთან“. ფასი 11000 დოლარი. ტელ.: 61-71-46.

იყიდება საგურამოსთან ზორიანში ორსართულიანი სახლი მანსარდით, ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-45-00.

## გაქირავება

ქირავდება კოლმეურნეობის მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელში არსებული მაღაზიის სექცია. ფართი 8 კვ. მ. ღირებულება 100 დოლარი. ტელ.: 39-26-39.

ქირავდება ბარნოვზე დიდი ფართი საწყობისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 32-30-01.

ვიქირავებ ერთოთახიან ბინას ვაკეში (ოფისისათვის). ტელ. 22-33-37.

## სხვადასხვა

იცვლება მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის დამტკიცებული პროექტით საბურთალოზე, ახალ მსუბუქ ავტომობილზე. ტელ.: 39-26-39.

ვყიდი მაგიდას და ექვს სკამს კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-08-74 იკითხეთ თეა.

იყიდება მაცივარი „დნეპრი“. ფასი 100 ლარი. ტელ: 94-13-29. ვასილი.

ვაკეთებ და ვყიდი დესაოს, ლოგინის ჩასადებ ტახტს და ყველა ზომის კომოდს. ტელ.: 96-46-56.

## ცოდნა

ვამზადებ აბიტურიენტებს საქართველოს ისტორიასა და სამართალში სახლში მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 31-69-97, 95-86-04.

შევასწავლი რუსულ ენას და ლიტერატურას ნებისმიერ მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 63-03-47. იკითხეთ ევა.


მამუკა სუთიძე თანაგრძნობას უცხადებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანს ბატონ სერგო ვარდოსანიძეს დედის გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444